სარანდო კულტურა ცდილობდა მოერევიანა, პარმონიში მოეყვანა, ხიდი გაეღო ამ პოლუსებს შორის. მაგრამ ლიტერატურაში ეს შუა საუკუნების ქრისტიანულ სამყაროში ის სრულქმნილად ვერაფერ შეძლო, როგორც შოთამ და ვოლფრამმა. მათ შემოქმედებამი მიღწეულია სინთეზი-პარმონია ამქვეყნიურობისა და იმქვეყნიურობის, სოფელსა და ზესთასოფლის, ჰუმანუსა და ღივინუს, მარხასა და ზეკას შორის. ამით შეუღარბლად ადგამტაბან თანამედროვეებს შოთა - ქრისტიანულ აღმოსავლეთში, ხოლო ვოლფრამი - ქრისტიანულ დასავლეთში. მაგრამ, მე ვფიქრობ, აქ შოთა ვოლფრამსაც აღემატება.

...როგორც "ეფუხისტკაოსნიშ", ასევე "პარციფალიშ" ვხვდებით უტოპიურ ეზიზონს (ხილვას):

"ეფუხისტკაოსნის" ეპილოგის წინ ბოლო სტროფი ასე იკითხება:

"ყოფლანა სწორად წვალობას ვითა თოთხლა მოათოდეს; ობოლ-ქერიანი დაამდიდარნეს და გლახას არ ითხოვდეს;

ავის მქმნენლი დაამინდეს, კრავინ კრავთა ვერ წწოდეს; შივან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოდეს"

ვოლფრამისხეული გრაალის სამეფო ანდა გრაალის კოშიკი დასახლებულია ზეკონფუხიური და ზეკონუნული თემით (სა-ზოგადებითი), სადეკ ვეკლანი, მეფის ვარდა, თანასწორულეზბანიანი, თანაპარ პირობებში ჩავენებულნი არიან: მათი სოციალური, ქონებრივი, ეკონომიკური და ა.შ. სტატუსი ერთნაირია.

"ეფუხისტკაოსნიშ" უტოპიური ცხროვითა თითქმის ციტატაა მიხედვით: "დადგება მგელი ცხროვთან ერთად და ვეფუხე დაბინადდება ციკანით ერთად. ზბო, ლონი და ნასუჯული პირტყევი ერთად იქნებან და ჩვილი ბავშვი წაუძლეება მათ. ძროხა და დედა დათვი ერთად მოძიებენ და მათი უბლები ერთმანეთის ვეგრდით დაწვებან, ლომი ძროხასავით შევაშს

ჩალას (ესაია წინასწარმეტყველები, 11,6-7).

ალბათ, ეს არის პოეტის ცინება სოციალურ, ეკონომიკურ და საერთოდ ყოველგვარ პარმონიზმზე, რაც მიზლიერ იდილიას ენებზედა. ვერადგება უნდა მიიკნით იმ ვარეგობას, რომ შოთა თავის უტოპიურ გონიონში ენერგიულად ვეკამ სოციალურ, ეკონომიკურ და ა.შ. აქენტეზე, უფრო მეტად, ვიდრე ბიბლია (ბიბლიაში არ ფიგურირებენ ქრეობერები, ობლები, მათხოვრები, კრიმინალური ელემენტები - შოთას "ავის მქმნენლი" - და ა.შ.).

"პარციფალის" უტოპია ნახევრად რელიგიური, ნახევრად სეკულარული. "ეფუხისტკაოსნიშ" უტოპია წმინდად სეკულარულია, თუმცა ორივეგან აქენტი დასმულია საეკლოზი.

ისე ვოლფრამი თავის უტოპიას, თავის ნატურის ქვეყნას, იდეალურ უტოპიას დაწვრილობდა, კონკრეტულად, ფარიოდ, მრავალსომიკველად და, შეიძლება ითქვას, თვითმზნურად აღწერს, რადგან ეს თვითონ ნაწარმოების შინაარსითა და მასალათა განსახვრეული (იმთავივე ვოლფრამში მზინად აქვს დასახული უტოპიური გრაალის სახელმწიფოს წყვეტა).

"ეფუხისტკაოსნიშ" თვალში საცემია ქრისტიან მღვდელმსახურთა სრული უგულბეძლეობა - მსცე თავის მზრით მასალის საციფიკითა განსახვრეული: ფორმალურად არაქრისტიანულ საფარში რა ესაქმებოდან ქრისტიან მღვდელმსახურებს? მაგრამ საქმე ისაა, რომ "ეფუხისტკაოსნიშ" საერთოდ იშვითა გამოხატობისა სასულიერო პირთა გამოჩინა: ინდოლუ ტანებელ ნუნტანის პირველად ნახვისას ქალის ხელამბით დაბნეილს გულე წაუჭა და მას ვაჟს დაეხვიაან... მაშამადანი მღვდელმსახურნი:

"მეფრინ და მუღმინი მე ვარეშემო მვეცივან; მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველი იკითხვიდანი; მტერ-დაცემული უგულვო, არ ვიცი რას ჩნახვიდანი. საღ დამეფის ვივაჯ უგულვო, ცეცხლინი უმრეტნი მწვიდიდანი." (351)

"შეფრინ და მუღმინი" სასულიერო პირობია, ხოლო "მუსაფი" ვერანია. საინტერესოა, რომ აქ აშკარა ავტორისული დისტანტირება და ირონია: "არ ვიცი რას ჩნახვიდანი". "ეფუხისტკაოსნიშ" გმირებისა და ღმერთის შორის ფაქტურად არაფერ დგას, მათ თითქმის შუამავლები არ სჭირდებათ. მათ დამერთთან უშუალო კავშირ-მიმართება აქვთ.

შოთასა და ვოლფრამის უსტესტაციური, არსობრივი ქრისტიანობის მუხედებად, მათი ინსტიტუტ რწმუნა საეკლესიო რიტუალის, ქრისტიანული ინსტიტუტების ვარეგულ წარმოდგენილი. ორივე ვაურის საეკლესიო სიმბოლიკას. არსად არ ჩანს, თქვენ წარმოდგინეთ, მიზნებდა ვეჯრბეც კი, ამ მთავარ ქრისტიანულ სიმბოლივ, არც დეკომპოზილის ეკლტი არ ფიგურირებს. და ეს ვეკლავიერი ხედვს დეკომპოზილის საეკლესიო განსიღმების ეპოქაში და ვეჯრბეცელ დამჭრობათა ხანაში. ერთი სიტყვით, ხაზგასმით და კატეგორიულად შეიძლება ვანავჯ ჩაიხიო, რომ შოთა რუსთველის სიღრმისეული, არსობრივი ქრისტიანული რწმუნა არ არის გამოხატული ეკლესიური და რიტუალური ფორმალზობის დონეზე.

მხედველობაში უნდა მივილით ის ვარეშობა, რომ შოთას პერსონაჟები ვეკლანი ფორმალზად არაქატეგორიული და არაქრისტიანული (სხვა რელიგიების, როგორც წესი, ისლამური რელიგიის წარმომადგენლები) არიან. ვოლფრამის გმირები ქრისტიანები და მაშამადანები (როგორც წესი, სარკინობები, სარაციონები, არაბები) არიან: (განსაკუთრებით ჰუმანად არიან წარმოდგენილი ისინი ვოლფრამის მეორე რომანში "ვიდეკალაში") - "წარმართები", ფაქტურად არაბები (სარკინობები, სარაციონები), ე.ი. მაშამადანები.

მეორე მხრივ, აშკარაა ორივე პოეტის კავშირი ქრისტიანულ მისტიკასთან: "ეფუხისტკაოსნიშ" ფსევდო-ღირისე არეოპაგელის გავლენას აღსატურებენ, რომელიც მიწვეულია ევროპულ ქრისტიანული მისტიკის ფუფუნებელად, ხოლო "პარციფალიშ" უუკველია ბერანი კლერკოლის ზემოქმედება, რომელიც ფსევდო-ღირისის მხმდეგარი ვახლდათ.

...ორივე ეპოში ცენტრში დგას ადამიანი, ადამიანური, ჰუმანური და ნაკლებად დივინური.

ვოლფრამი "პარციფალის" პროლოგში დაახლოებით შემდეგ ვკითხვლობ:

- მე რომ მომენდობინა თქვენთვის ზედმიწევნით ამეხსენა, თუ რა არის ადამიანი, მაშინ ამისთვის ვგრძობ ტრაგედიტი დამპრეტებლად. ამის ნაცვალად მოისმინეთ ქვემოთ ამავა -
ორივე სარიდონ რომანში საქმე ეხება ადამიანს, ადამიანებს. - ორივე ავტორი სვამს საკითხს, განიხილავს თემას: როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, როგორია ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრება, რა არის ზნობრივი, რაში მდგომარეობს ადამიანის დანიშნულება, მისი ბუნდობრივა და ა.შ.

ორივე ნაწარმოებში წინა პლანზე წამოწეულია ადამიანის პირადი ღირსებები და პიროვნული უპირატესობანი, მისი თავისთავადობა და ქმედებისუბრუნებლობა. ადამიანისათვის ქრისტიანობა არ უნდა იყოს გარეგნული, ფორმალური, რიტუალური ქმედება - ეს უნდა იყოს ადამიანის შინაგანი, იმაინტუირი თვისება, თუნდაც ეს ადამიანი ფორმალურად არც ეკუთვნოდეს ქრისტიანულ თემს (საზოგადოებას, ორგანიზაციას). ამის მაგალითებია: "ვეფხისტყაოსანში" ავთანდილი, ტაბილი, ფრიდონი და სხვები; "პარციფალში" უდალდი რაინდი, ფორმალურად მამამადიანი - ფარდფიცი, პარციფალის მძა (საყრო მამა ჰყავდათ). ვოლფრამის მეორე რომანში კეთილშობილურ, ღირსეულ, "ქრისტიანულ" საქმეებს სწადინა მამამადიანი ჩაუკო რაინდებიც - "შინაგანი ქრისტიანები" და არა მხოლოდ ქრისტიანული საზოგადოების (თემის) წევრები.

შოთასა და ვოლფრამისათვის ნიშანდობილია უდიდესი რჯულთმშენარებლობა, ტოლერანცია. მათი რომანები მთლიანად თავისუფალია ეროვნული, ეთნიური, რასიული და რელიგიური ცრურწმენებისაგან.

მათი თხზულებების მკითხველებისათვის ახსოვლურად განურჩეველია, განუსხვავებელია, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნება ესა თუ ის გმირი. პარციფალი რომ ვალისელა (wales), ვილჰელმი (გეიმო) - ფრანგი, ანაბელე (ვიბურგ) არაბი ქალი (სარკინობი, სარცინელი), რენესატე იოტსა (სარკინობი), ტაბილი ინდელი, ხილი ავთანდილი - არაბი და ა.შ. ეს მკითხველებისათვის არავითარ როლს არ თამაშობს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს არანაირად არ განსაზღვრავს რომელიმე მათგანის უპირატესობას ანდა არასრულფასოვნებას.

...ორივე პოეტმა თავიანთ შთამომავლებსა და მკვლევარებს გაუჩინესილი საიდუმლო, თავსატეში გაუჩინა.

როგორც ცნობილია, ვოლფრამი თავისი "პარციფალის" მთავარ წყაროდ არაერთხელ ასახელებს ვინმე კოტს; ერთგან პოეტმა ასხენებს "პოეზიის განთქმულ სიტატე კოტს", რომელმაც ტოლედში (ze Tolet) შემთხვევით ითიქის მიაკვლია "პარციფალის" პირველწყაროს არაბულ ხელნაწერს ("წარმართულად ნაწერს", ანუ არაბულად ნაწერს - "in heidenischen scharfte"). მეორეგან "პარციფალში" ვითხვებით: კოტმა პროვანსელია. მან პარციფალის ეს ამავა იმეო არაბულად ჩაწერილი, რაც ფრანგულად თარგმნა და რაც, თუ კი ძალა მეყოფა, მე მინდა გერმანულად გარდაკოქვა (heidenisch geschriebe) წარმართულად ჩაწერილი უღრის არაბულად ჩაწერილს). მამასადამე, კოტმა არაბული ტექსტი თარგმნა ფრანგულად, ხილი ვოლფრამმა კოტის ფრანგული თარგმანი გერმანულად გადმოიტანა.

როგორც ქართველმა მკითხველებმა იცინა, "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში ვხვდებით შემდეგ სტროფს:

"ესე ამავი სპარსული, ქართულიად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები, ვიკოვე და ლუქსად გარდაეთქვი, საქმე ვქმენ სასოკმანები, ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს ლღმან და ლამაზმანე-ბი" (9)

ვოლფრამის საციცალისტები ხანგრძლივად ეძებდნენ პროვანსელ პოეტს, სახელად კოტს, მაგრამ დღემდე ვერც კოტს და ვერც აქამდე უცნობი პირს ვხვდებით თუ პარციფალის ანდა გრაალის რომანის კვლას ვერ მაიგნეს. დღესდღეობით ყველაზე გაერცხლებულ და სარწმუნო ვარაუდად მინეუელი: ვოლფრამს სურდა ღედანთან (ე.ი. კრეტინ და ტრუას

"პერსეკალან") მრავალი გადახვევა და განსხვავება, თავის დამოუკიდებლად და თავისთავადობა კოტში გაეძარბოლებინა, რადგან იმდროინდელი მსმენელი თუ მკითხველი აკტორისაგან "სიბართლეს", "ნამდვილ ამბავს", ტრადიციით გაპარებულ სიუვეტს მოითხოვდა - მამასადამე, მოითხოვა "მოწმეზე" - კოტზე, რომელმაც ითიქის პარციფალის (პერსეკალან) ამავა რიგაიანად ("წესიერად", "სწორად", შეუცვლელად) გადმოგვცა, ლიტერატურული მისტიციაციის ერთ-ერთი მაგალითი, რომლის მსგავსი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ ცოტა არ იცის.

ანალიტიკურად აისხნება აგრეთვე წყაროს საკითხი შოთას შემთხვევაში, თუმცა საერთოდ არ არის ცნობილი "ვეფხისტყაოსნის" არც ერთი წყარო, იმ დროს, როცა ვოლფრამი, რაც უნდა იყოს, სულ ცოტა კრეტინ და ტრუას უნდა ყფრდობოდა.

ამადრ ეძებდნენ შთამომავალი და შოთას მკვლევარი სპარსულ წყაროს. აქაც დგას საკითხი: ჰქონდა თუ არა რუსთველს ხელი რომელიმე სპარსული წყარო? თუ: მოითხოვა სპარსულ წყაროზე ტიპიური ლიტერატურული მისტიციაცია?! როგორ ჩანს, შუა საუკუნეების საქართველოში მკითხველი ავტორისაგან მოითხოვდა "სინამდვილეს" ("ნამდვილობას", "კუშმარტივას"), რაც დამტარებელი უნდა ყოფილიყო ავთენტურ ღედანზე და რაც თავის მხრით გამაგრებული უნდა ყოფილიყო რომელიმე ძველი გადმოცემით (ტრადიციით).

...ორივე პოეტი თავიანთ ნაწარმოებს ერთ ქალს (ბანივანს, მანილიორის) უძღვინს.

შოთას რუსთველი არაროგოფუდო, ღიად, თავყვანს სცემენ როგორც თავის შთამაგონებელსა და მუხას სათარ მუყეს. ვოლფრამს მკითხველებს არ უშხელს თავისი თამაყვანი ქალის ვინაობას. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს იყო მისი მეუღლე.

შოთა წერს "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში:
"ვის შვეწის, - ლომსა, - ხმარატე შუშისა, ფარ-შიმშერისა,

მეფისა შხის თამარისა დაწე-ბადახში-ბათ-გაიმერისა, მას, არა ვიცი, შეუკადრო მისხმს ხოტმისა შერისა, მისთა მჭერსულად ყანსლა შერთმა ხამს მართ მი-შერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფისა, სისხლისა ცრემლად ხეული, ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული.

მულნად ვიხმარე ვიმის ტბა და კალმად მე ნა რხული. ვინცა ისმინოს, დაეხვას ლახვარი გულსა ხელი" (3-4).
"პარციფალის" ბოლო ტეაქებში დაახლოებით აწკარედულად და პროზაულად ასე შეიძლება თარგმნოს: - კეთილშობილი და ჰკვიანი ქალები ამ ნაწარმოების დასრულების შემდეგ პატვის კომოტებენ, და ქალი, რომლისთვისაც დაწერეს იგი, ჩემთვის ეთიოდ მაღლობის სიტყვას არ დაიშურებს.

- ეს ვეკვალდები, ცხადია, მხოლოდ მოკლედ, უადრესად შეკუმშულად და თეხისების სახით გადმოცემული სპარსულები და ანალიტიკები. შოთასა და ვოლფრამის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან, რომელიც შეიძლება გაავარაგოლით და გაავარაგოლით.



სარილი



ლელა საპნიაშვილი



სოფლებად ქცეულ სატახტოებში
 დარჩენილებს - უხილავი ქმნილებები
 გვინთებენ და გვიქრობენ დღემდე -
 სინათლეს. როცა სინათლე მოდის -
 უკანასკნელი დიზაინის კაბებში,
 ზურგზე მიკერებული - ახალთახალი,
 ცვილითა და ბუმბულებით შეთხზული ფრთებით -
 ეკრანებიდან გვილიმიან თეთრკბილება
 ლამაზმანები; როცა სინათლე მოდის -
 ვანთებთ - ძველი და მზისგან დამდნარი
 ფრთების ცვილის სანთლებს; აბაზანებში -
 ძილის წინ - ძველი გულმოდგინებით
 ვიხეხავთ კბილებს. და მე კი მაინც -
 უკვე მეოთხე გვერდითი კბილი
 ამოვიღე, - არა ფოტომოდელის მსგავსად -
 რომ ყვრიმალები უკეთ დამაჩნდეს, -
 არამედ, შენი ტყუპისცალი ვარ -
 სტივი, - ასეთი ახალგაზრდა და უკბილო
 და არ ვიცი რას დავაბარალო -
 მურაბებს თუ გუდასტვირის ხმას -
 რომ დაგვაბედა ორივე - სიტკბოს სიყვარულიც,
 კბილის ტკივილიც; სიყვარული და
 ტკივილი - ჩვენი ტყუპისცალი
 და ბებერი და უკბილო სამშობლოების.

უცხო ყოფილა -
 ჩემი ძმობილი -
 თრობისთვის - ყველა სუფრის სტუმარი;
 და მეც - სულელი! -

სულ ვაძალებდი -
 ლექსის ღვინოს და ლექსის პურმარის.

მუხანათვაზი

შავი მერცხლები, თეთრი გულის
 გარეშე - შავი და ვეება მერცხლები -
 გასულ ზაფხულს მოფრინდნენ
 ქალაქში. მყისვე - ყველაზე დიდი
 შენობის თაღებს მიაწვდნენ.
 ქროდნენ შეუჩერებლად. აშენებდნენ
 შავ ბუდეებს. ააშენეს სტალინის
 ძეგლის ზურგსუკან. მიწით გადალესეს
 შენობის ყველა ბზარი. ტალახის
 ნამცეცებით ამოავსეს ჰაერი. ძეგლი -
 მათი სიშავით შეშფოთებულ
 გამვლელებს - მშვიდი, კმაყოფილი
 გადმოჰყურებდა. სახელმწიფო
 მოხელეები ცდილობდნენ სწრაფად
 გადმოსულიყვნენ მანქანებიდან,
 სწრაფი ნაბიჯით აევლოთ კიბე
 და კარსუკან მიმალულიყვნენ.
 ზოლო მერცხლები - მთელი ზაფხული
 ტრიალებდნენ საფრთხვდ ჰაერში
 და ზაფხული ისე გავიდა -
 თავს არ დასხმიან არავის,
 მხოლოდ - ქუჩებში და ბაღებში -
 ხშირად ვპოულობდით - მკვდარ
 ჩიტებს - მკვდარ, ჩვეულებრივ
 პატარა და თეთრგულა მერცხლებს.

ბორჯომის პარკში - ცის კრიალა
 ზოლს ავსებენ ტკბილი ღრუბლები -
 ბაძბის ფერადი ნაყინები:
 “ყვითელი თუ ვარდისფერი?”
 პატარა გოგო - ვარდისფერს ირჩევს
 და კარუსელის ბილითების გამყიდველი ქალი -
 ვიღაც მტირალა ბიჭის
 გვერდით სვამს, უხსნის:
 “პაპა ძალიან მაღალია,
 მიწაზე უნდა დარჩეს” და ის კი -
 ვარდისფერი ღრუბელით ხელში -
 მასსურებს, საქანელებს, ფიჭვებს დაჰყურებს.
 მტირალა ბიჭი არ ჩუმდება.
 ვარდისფერ ღრუბელს უწვდის -
 აჩუმებს. ამ სიმაღლიდან
 ყველაზე მეტად - პაპის დანახვა უხარია
 და ხელს უქნევს: დაძვლოდე,

არსად წახვიდე. საკმარისია - ის -
ვინც გიყვარს - თვალს მიეყაროს
და სამოთხეც - შენინადა - შენს გარშემო -
უცხოდა, ავად დატრიალდნა.

ის იღვიძებს: ზრდასრული და
ბაბბის ნაყინს გადაჩვეული.
მამამისის რადიოში უყურადებს
ხალხის ამბავს, - საკუთარ სისხლს რომ
ჰყიდიან, რომ ბავშვებისათვის
თბილი პური იყიდონ. ვისი
ღვთაებრივი მარღვებისაკენ მიედინება
ამდენი სისხლი?! ან რამდენი
ღონორია კიდევ საჭირო - რომ ამოავსოს,
წამით მაინც აგრძობინოს ეს ტკივილი,
ეს სურვილი - თბილი პურისა?!
სამყარო უცხოდა და სამიზნად ტრიალებს.
უკვირს - მტირალა ბიჭი -
ვარდისფერი ღრუბელით ხელში -
როგორ სწრაფად ჩუმდება და მიწაზე - თვალით -
არვის ეძებს; ეუნება:
“აქ კარგია. კიდევ ვიქროლო!”

მომთაბარეთა ტომის შვილებო,
არ გაიშლება თქვენი თმა - ლაღად;
სხვისი მიწისთვის მარად მშვირებო -
მუზარადებით შუბლებს იღაღავო;
ჩვენ ერთგულების ღმერთი გვყავს, თქვენთვის -
ოქროთი - მხოლოდ ფერფლს ასწონიან -
აწმყოში - თქვენი ომის ღმერთები,
წარსულიც - ფერფლის თანასწორია;
და მომავალსაც - თუ გაუსწორებთ -
მახვილს, - ვერ შეძლებს თვალი - იგივეს:
იქით - ოქროთი აუწონავი -
კვლავ ჩვენი პურის ყანა ბიბინებს.



ქოჩა ბრაკი

“დღე და ღამე”

რეპუბლიკიდან

BRAQUE



როცა ჟორჟ ბრაკი
დაიბადა, 1882 წლის
13 მაისს, ამ დროს მო-
ნეს და იმპრესიონისტი
შხატურების ხსოვნა ჯერ კი-
დეც ცოცხლობდა როგორც
არგენტინაში, სადაც
ბრაკი დაიბადა, ასევე
ჰავაში, სადაც მისი
ოჯახი გადავიდა
საცხოვრებლად 1890
წლიდან. აქ, ჰავაში
სწავლა მიატოვა და
1893 წლიდან ზე-
ლოვნებათმცოდნეო-
ბის სკოლაში ჩაე-
წერა, საღამოს
სწავლებაზე. მამის

სანარმოში ახალგაზრდა ბრაკი
მღებავის ხელობას სწავლობდა. პარიზელ
შხატვარ-დეკორატორთან რონესთან ეუფ-
ლებოდა მარმარილოსა და ხის დამუშავე-
ბას.

საუკუნის დასაწყისში მოძრაობა “ფო-
ვიზმი”, რაც მატისის გარშემო ვითარდ-
ებოდა პირველი მძლავრი ნოვატორული
მოძრაობა იყო მე-20 საუკუნის ესთეტი-
კურ სფეროში. ჯერ მატისის, შემდეგ დე-
რენის და დაფის პირველი ფოვისტური
ნაწარმოებების აღმოჩენა გადაწყვეტი-
იყო ბრაკის ხელოვნებისთვის და 1906
წელს უკვე მათთან ერთად გააკეთა გამო-
ფენა. მაგრამ არც ფერთა ეზალტაციას
მიჰყვა სრულყოფილად და თავის კომპო-
ზიციებში კუბიზმის მანუყეველი ნონას-
წორობაც შეინარჩუნა; ანუ ის სტილი,
რაც პიკასოს ხელოვნებაში აღმოაჩინა
მასთან ურთიერთობის დროს.

- შხატვარი ფიქრობს ფორმებითა და ფერე-
ბით; საგანი პოეზიის საქმეა.
- რასაც ქმნი უნდა შექმნა, არ უნდა მიბადო.
- ხატვისას მარტო დანახვა საგნისა არფე-
რია, მას უნდა შეეხო კიდევ.
- ვერ ვქმნი ისე, როგორც მინდა, ვქმნი ისე,
როგორც შემძლია.
- შესვენება არ არსებობს: ანშო უწყვეტია.
- ხელოვნებაში ღირებულება ის, რისი ახსნაც
შუქძლებელია.
- წერა არ არის აღწერა, ხატვა არ არის გა-
მოხატვა.
- იდეები ისევე, როგორც ტანისამოსი, ცვლ-
ბა და ფორმას იცვლის ხმარებისას.
- ვერასოდეს შევძელი განმესხვავებინა და-
საწყისი და დასასრული.
- ნახატი მაშინ სრულდება, როცა იდეა ამო-
წურულია.

● ცოტას თუ შეუძლია თქვას: მე ვარ. საკუთარ თავს წარსულში ეძიებენ და მომავალში ხედავენ.

● წყალი მიედინება. ადამიანი მიბოძრებას.
● ასაკთან ერთად ხელოვნება ცხოვრებას ერთვის.
● მე ჩემი თავის მსგავსი ვარ. ყველა მსგავსშია ორ-ულში.

● იმედი ხვალის შიშით იბადება.
● ყოველთვის ორი იდეა უნდა გქონდეს; ერთ-ერთი გამოირცხვას მეორეს.

● გაქვს თავისუფალი თავი: ე.ი. არსებობ.
● მსჯელობა გონების გზაა და სულის ხმაური.
● არაფის აყვე.

● საგანი შეუძლებელია ერთდროულად ყველგან იყოს, თავშიც გქონდეს და თვალწინაც.
● მოულოდნელობა ქმნის შემთხვევითობას.

● კულტურა წარმოშობს სიმბინჯებს.
● წინათ ხელსაწყო მკვლეის დამატება იყო, მექანიზაციასთან ერთად მკვლეი გახდა ხელსაწყის დამატება. წარსულის შეცნობა; აწმყოს გამოვლენა.

● ბედისწერის ძიებაში საკუთარ თავს აღმოაჩენ.
● უნდა განასხვავო ნებისყოფა და ჩვეულება. ალკოჰოლიზმი ნებისყოფის მაგალითი არ არის.

● გასაველელი გზა დღითი დღე ილევია.
● დაფდაფი მედიტაციის ინსტრუმენტია.
● ძალია წყვეტს სამართალსა და უსამართლობას.
● მორალისტი სრულყოფილად ასახავს ბოროტებას, რითაც აპვიდრებს სიკეთეს.

● ორგელივ წყვიდაიდა, სინამდილეს მხოლოდ პოეტური სხივი აშუქებს.

● პოეტური სხივი განკვეთილი ბნელეთი.
● პოეზია გარემოების საყვირია.
● წერილმანება, რითაც თავს ვიქცევთ და ცხოვრობთ.

● გეზს კი იღებენ, მაგრამ დინებას არ მიჰყვებიან.
● ჩემთვის მნიშვნელოვანია უკვე არა მეტაფორები, არამედ მეტამორფოზები.

● კარგი ნახატი ბოლომდე შეულწევიდა.
● მეცნიერება სიყალბის გარეშე არ იქნება: პრობლემის გადასაჭრელად საკმარისია კარგად ნაშოქრა იგი.

● მხატვარი არ ცდილობს მოიგონოს ანექდოტი, მაგრამ ცდილობს შექმნას ფერწერული ფაქტი.

● პროგრესი ხელოვნებაში მისი საზღვრების გაშლას კი არ გულისხმობს, არამედ მათ უკეთესად შეცნობას.
● ხელოვნება ფრენს, მეცნიერება ყავარჯნით დაიარება.

● ხელოვნება გაღვლეებს, მეცნიერება გამშვიდებს, გაარწმუნებს.

● ზოგი ნატურალისტივით ფიტულებს ამზადებს და შგონია, რომ უკვდავებას ანჭებს ბუნებას.

● ვცდილობ ბუნებასთან შერწყმას, რომ არ მოხდეს მისი კოპირება.
● საზღვარი ისევე იტევს წინააღმდეგობას, როგორც ნაპირი ტბას.

● უნდა ერკვეოდე მართალში და სიმართლეს მიმგავსებულში.

● სურათი შეიძლება არსებობდეს ავტოგრაფის გარეშე, რასაც ვერ ვიტყვი ავტოგრაფზე.
● ხშირად გრუნტი სურათზე უკეთესია.
● როცა იდეები მოგეძახლება, სინამდილეს შორდები. თუ მხოლოდ ერთი იდეა გიტრიალებს თავში, ეს აკვიბტება...

● სიმართლეს ვერ დაამარცხებ.
დავიფიწყოთ საგნები. საგულისხმოა მხოლოდ ურთი-

ერთობები.

● ცნობიერება მანკიერების დედაა.
● საინტერესოა არა მიზანი, არამედ საშუალებები მის მისაღწევად.

● ლექსიკონი სარწმუნო მოწმეა ამა თუ იმ ეპოქის.
● იდეალიზმი არის დადგენილი ფორმა იმედისა.
● სოციალიზმი რაც უფრო ინტეგრალურია, ომიც უფრო ტოტალურია.

● ვიზუალური გარემო საგნებს ერთმანეთისგან ალკვევს. შეხებითი გარემო კი ჩვენ გვაშორებს მათ. ტურისტის თვალში მისთვის მისთვის, არტილისტი მიზანში ისერის (ტრაექტორია მკვლავს აგრძელებს).

● შეხებითი საშუალებებია: ფეხი, იდეა, ხელის ცერო.

● ყველანაირი მდგომარეობა წინა მდგომარეობის გაგრძელებაა.

● მდინარეს შეიძლება მიმართულება შეუცვალო, მაგრამ უკან ვერ დააბრუნებ.

● ქუან ყოველთვის ხელით ვერ ატარებ, ამიტომაც მოიგონეს საკიდი. მე კი, მოვიგონე ნახატი, რომ ჩემი იდეები ერთ ლურსმანზე ჩამოვადო: ეს საშუალებას მაძლევს თავიდან მოვიშორო აკვიბებული იდეა.

● ვაზა ფორმას აძლევს სიცარიელეს, მუსიკა კი სიჩუმეს.

● გუთანი უმოქმედობით ყანგდება და კარგავს თავს არსს.

● შეხებთანთან ერთად იდეალურობამ სულიერება შეცვალა.

● მომავალი წარსულის გამოძახილია და აწმყოთია განპირობებული.

● შესიხისტი კი არ იცავს საკუთარ იდეებს, დემონსტრირებას უკეთებს მათ.

● ვინც ყურს უღდებს დაფდაფს, უგებს სიჩუმეს.
● მე არ ვეჭვებ განსაზღვრულობას. მე ვისწავფი განსაზღვრელობისკენ.

● მხატვრების მიერ მექანიზებული პერსპექტივის აღმოჩენა გავლენას ახდენს იდეაზე. შეფასება თვალთახედვის ფუნქციაა. ლოგია პერსპექტივის შედეგი.

ფრანგულიდან თარგმანა ლალია ლალიაშვილმა



სწილი

იბრაჰიმი გოლესთანი

იბრაჰიმი გოლესთანი (დ.1922) - დაასრულა თეირანის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი. არის ნოველებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებულის ავტორი. გადამღებული აქვს მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

1978 წლიდან ცხოვრობს ინგლისში.

კაცი თევზებს უყურებდა. თევზები შუშის იქით მშვიდად დაცურავდნენ. მათთვის ქვის ფილებისაგან აკვარიუმი აეშენებინათ. აკვარიუმი დიდი იყო. მისი ნახევრადწინაფილებული კედელი სიღრმეში იკარგებოდა. კაცის წინ კი შუშის კედელი აღმართულიყო. გამოქცეაულის მსგავს ჩაბნელებული დერეფნის ორივე მხარეს, კედლებში ჩაშენებულ აკვარიუმებში ნაირ-ნაირი და ფერად-ფერადი თევზები გამოიყენილიყვნენ. ყოველ აკვარიუმს ზემოდან უსილაჰი შუქი ანათებდა. კაცი ახლა უკვე იჯდა და ისე ათავალურებდა ჩუშსა და ცივ სინათლეში მყოფ თევზებს.

თევზები მშვიდად ეკიდნენ შუშის მიღმა. თითქოს ჩიტები ყოფილიყვნენ, ფრთა-მოტყბილი ჩიტები. თითქოს ზეცაში ეკიდნენ. ბუჭტუკებს უშვებდნენ, ოდნავ ირხვოდნენ და ძალიან ნელა ატყვამუნებდნენ ფარულებს. ეს რომ არა, ვერც კი იგრძნობდა კაცი წყალში თუ იყვნენ. კაცმა პირდაპირ, ფსკერზე ორი თევზი ერთად შენიშნა. თავები ერთმანეთისათვის მიეჭყუებინათ და კუდებს იჩნევდნენ. უხეცრად შეფართხალდნენ, მალლა აიჭრნენ, შუა გზიდან მოუხვივს და კვლავ ფსკერზე დაემუნენ. თითქოს ერთმანეთის კონკას ლამობდნენ, მაგრამ ისევ განცალკევდნენ. ასე ტრიალებდნენ და აქეთ-იქით დასრიალებდნენ.

კაცი ჩამოვდა. ასეთი გაუთავებელი მოძრაობა ჯერ არ მინახავსო, გაითქირა. მიელს ქვეყნიერებაზე ყველა სხვა აკვარიუმში და წყალსაცავში თევზები თავისთვის დაცურავდნენ და საკუთარი მარტივი მისრამორა აქეთ. რა არ ენახა: თევზები, ფრინველები, ადამიანები. ტყეში, ქუჩებში. ცით მონყვეტილი ვარსკვლავებიც კი ენახა, მაგრამ მსგავსი შარშონია - არასოდეს! ერთდროულად შემოდგომივით ფოთლები არ ცვივა, არც სანოვრუო ჯეჯილი ამოდის ქოთანში ერთბაშად. არც ვარსკვლავები იწყებენ ციმციმს ერთსა და იმავე დროს. მაგრამ წვიმა? აი, წვიმა - შესაძლოა. წვიმის ძაფები თითქოს ერთად მოედინებოდა. ან იქნებ ზღვიდან აღმდგარი ორთქლი?

ეს ორი თევზი განუყრელად ერთად დაცურავდა. ალბათ იმიტომ, რომ ერთმანებრივ იყვნენ. ხოლო ასე ერთმანებრივ რომ იყვნენ, იმიტომაც მეგობრობდნენ. მათი შარშონიული მოძრაობა შუა ერთსულოვნებამ, თუ ერთსულოვნება განაპირობებდა ამ შარშონიას? იქნებ ტყულები არიან? მაგრამ არსებობენ კი ტყულები თევზები?

კაცს ჩამიჩუმი არ ესმოდა, მაგრამ ისიც კი დაუშვა, რომ ეს ორი თევზი ერთმანეთს ელაპარაკებოდა და მათ ერთმანეთისა ესმოდათ. მაგრამ რატომ არ შეუძლიათ ეს სხვა თევზებს? ესენი იცნობენ ერთმანეთს. მათ ამ ვინორ აკვარიუმში ცხოვრება რიტმულ ცვლასა და კეკლუცობაში გაჰყავთ. მაგრამ როდემდე გასტანს მათი ამგვარი ცვკვა?

მოსუცმა ქალმა, რომელსაც პატარა ბავშვისთვის

თევზი და მისი ჯუფთი

ჩაველო ხელი და აკვარიუმის დასათვალისწინებლად შეჩერებულიყო, კაცს მოჰკრა თვალი. ქალი ბავშვს თევზებზე მუთითებდა. კაცი წამოდგა და აკვარიუმისკენ წავიდა. ლამაზ-ლამაზი თევზები თავისუფლად და ზანტად დასრიალებდნენ. აკვარიუმში მშვენივრად იყო განათებული და შიგნით ყველაფერი მსუბუქ სიმშვიდეს მოეცვა. ქალი ბავშვს თევზებზე უთითებდა - შეხედეთ! შემდეგ მისი აწევა მოინდომა, მაგრამ ძალა არ იყო. კაცმა ხელი მოხვია პატარას და მალლა ასწია. "გამდლობთ, პატარო", - უთხრა დედაბურმა.

ცოტა ხნის შემდეგ კაცმა ბავშვს უთხრა: "შეხედე იმ ორს, რა ლამაზები არიან ერთმანებრივად!"

ის ორი თევზი ისევ ერთმანეთის პირისპირ იდგა. ფარულები ნაზად უთრთობათ. აკვარიუმის კიდის ზომიერი შუქი დილის სიზმარს წააგავდა და ქვის ფილებს სუფთას და კრიალას, მშვიდსა და მსუბუქს აჩენდა.

ახლა თევზები კვლავ გაიყარნენ, რათა ისევ შეეზრდნენ ერთმანეთს და გვერდი-გვერდ ეცურათ.

კაცმა ბავშვს უთხრა: "შეხედე იმ ორს, რა ლამაზები არიან ერთად!"

ბავშვმა ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა: "რომელ ორს?" კაცმა უპასუხა:


"იმ ორს. იმ ორზე გუებნები, იმ ორს შეხედე!" და თითი აკვარიუმის შუშას მიადო. შუშაზე ვილაცას ნემსით თუ ლუსსმნით ატოტრაფი ამოეკანრა.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვმა თქვა: "ორნი არ არიან".

"აი, ისინი, ის ორნი" - დაფინებით იმეორებდა კაცი. ბავშვმაც გაუთეორა: "სწორედ ისინი! ორნი არ არიან. ერთი მათგანი მეორის ანარეკლია, რომელიც შუშაში მოჩანს".

კაცმა ძირს ჩამოსვა პატარა და სხვა აკვარიუმების დასათვალისწინებლად გაემართა.

თარგამნი მადრი ლ'ანგონი



პირველი ნაწილი

დასაწყისი №. "არლი" №8

IV


ყველასაგან დაფიქრებული და აბუზად აგდებული ლიტერატურული ტექნიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს კომპოზიცია, ანუ რომანის აგებულება. ეს ხელოვნების (წებისმიერი ხელოვნების) ის ნაწილია, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზეა "შთაგონების" შემდეგ; ("შთაგონება" უარესად მრავლისმომცველი სიტყვაა, რომელიც გულისხმობს ყველაფერს, რაც ხელოვანს ენიჭება ზემოდან და რისი მერე შექმნაც შეუძლებელია). ლიტერატურული ტექნიკის მეორე, გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვან ნაწილს კი შეიძლება ორნამენტირება ვურთოთ.

რომანის აგების წესები ძალიან ცოტაა, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, დიდი რომანისტები თავისდა საზიაროდ ხშირად უგულვებელყოფდნენ მათ და არ აქცევდნენ ყურადღებას; ჩემი აზრით, პირველი ერთი მდგომარეობა იმაში, რომ მკითხველის ინტერესი წესით რამეზე იყოს მიჯაჭვული და მთელ ტილოზე არ მოხდეს მისი გაფანტვა. ხელოვნების ერთი უდრავის შედარება მეორესთან არ არის მაინცდამაინც მიზანშეწონილი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში რომანის გათვალისწინებით ტილოსთან ძალზედ მოსახერხებელია. თუ სურათის კომპოზიცია კარგია, მაყურებლის ყურადღებას მხოლოდ ერთი ნერტილი იზიდავს, მაგრამ თუ მისი ყურადღება სხვა ნერტილებზეც გადაერთო, მხატვარს ბრალს ვდებთ არასაინტერესო სურათის დახატვაში. იგივე ხდება რომანთან მიმართებაშიც. რომანს ესაჭიროება ერთი, ორი, ან სამი მოქმედი პირი, რომლებიც გამორჩევიან სხვებისგან და პირველ პლანზე იქნებიან, დანარჩენი პირები კი შუა ან სულაც უკანა პლანზე დაიბნეონ.

ამის შემდგომ, ეს გამორჩეული პირები, იქნებიან ისინი წმინდანნი თუ ცოდვიანი, დახატულ უნდა იქნან მეტი თანაგრძობობით, ვიდრე სხვები; თუ შემოქმედი ამას ვერ ახერხებს, მაშინ მას შთაგონება დაელოტება. პროტაგონისტის არჩევანი მხოლოდ ერთი რამით უნდა იყოს განპირობებული - მისდამი სიყვარულით. აბა მამ კიდევ რით? გმირების რასა აუცილებელია ხელოვნებისათვის. მაგრამ გმირს გმირად აქვეს არა იმდენად მისი ქმედებანი, არამედ შემოქმედის თანაგრძობობა და კეთილგანწყობა მისდამი. დღეს მავანსა და მავანს აუხირობია, რომ გმირი გაქრა თანამედროვე ლიტერატურიდან, მაგრამ ეს ასე არ არის; შეიცვალა მხოლოდ მისი დამახასიათებელი თვისებები, რაც სრულებით იცვლებოდა, რადგან დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. როცა თუკერი წერდა "რომანს უგმიროდ", მან დაწერა რომანი მშვენიერი გმირით და სხვებზე უკეთ თავად ხვდებოდა ამას. მან შეცვალა მხოლოდ სტერეოტიპი, რადგან მიზეზრდა ის გაცვეთილი და აუცილებელი თვისებები, რაც გმირს უნდა ახასიათებდეს. ამის შემდეგ დღინამაც მოქამა თავისი დრო და ეს სტერეოტიპი რამდენჯერმე შეიცვალა. სულ მალე ის დროც დადგება, როცა პონდეროვც მოგვებურდება.

დიდი რომანისტი, რომელსაც უზარმაზარი შემოქმედებით პოტენცია გააჩნია, მუდამ უნდა ებრძოდეს ინტერესის გაფანტვის ცდუნებას. ტოლსტოიმ ვერ შეძლო ამის გავთვება; "ანა კარენინა" ერთი კი არა, ორი რომანია, რაც გარკვეულწილად ზიანს აყენებს მას; "ომი და მშვიდობა" ხომ საერთოდ უსივრცე ტყეა; თავგაბანებული

როგორ ინერება რომანები



მკითხველი ხან ერთი მიმართულებით მიდის, ხან მეორე, კარგავს ორიენტაციას და ვერ პოულობს გამოსავალს; ამას ისიც ემატება, რომ გზად ახალ-ახალ პერსონაჟებს ხვდება, რომლებიც ადრე ან საერთოდ არ შეხვედრიან, ან თუ შეხვედრიან, იმდენი ხნის წინ, რომ უკვე დადგინდება მათი არსებობა. მეჩვედიტა, თუმც ნაკლებად თვალში საცემი, მაგრამ იგივე შეცდომა დაუსვა. ვის ძალუს ზუსტად თქვას, თუ ფლემინგების გვარის რომელი და არის "როდა ფლემინგის" გმირი? ნიკის დაახლოებით ორას გვერდზე როდა საერთოდ არ არის მოხსენიებული; ავტორს კი თითქოს ავიწყდება, რომ გულნამცეცა და გაიძვრა აღფერვნირი არ არის მისი ნაწარმოების მთავარი გმირი.

რომანის აგების მეორე წესი (შეიძლება ეს პირველი წესის ვარიაციაც იყოს) მკითხველის მძაფრი ინტერესის ბოლომდე შენარჩუნებაა. ის შეიძლება უფრო გავაღრმავოთ, მაგრამ არამც და არამც არ უნდა მოვადუროთ. საუბარია კომპოზიკის იმ ნაწილზე, რომელსაც ჩვენ მოქმედებას, ან ინტრიგას ვუწოდებთ. ინტერესში მე ყველს ხმობთ თვით ისტორიის მომხიბლობას და არა ავტორის კონების მუდმივ თამაშს, რაც ადრათობებს რომანის ქარგას. მოქმედება მანამ არის მიზიდველი, სანამ თავად ამბავია საინტერესო. თუ ინტერესი იკარგება, ეს იმას ნიშნავს, რომ სიუჟეტი არ ვარგა. სხვა კრიტერიუმები სიუჟეტის შესაფასებლად არ არსებობს. ზოგი მკითხველისათვის ინტრიგა საინტერესოა, თუ "თქვენ ვერ ხვდებით, რა მოხდება შემდეგ". მაგრამ ზოგიერთი ძალიან მოსაწყენ რომანებშიც კი ვერ მიხვდებით, "რა მოხდება შემდეგ" (თუცა ამ შემთხვევაში თქვენთვის ამას აღარა აქვს მნიშვნელობა). უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ინტრიგა მანამ არის კარგი, თუ "თქვენ" ერ-

თი სული გაქვთ გათვით, თუ რა მიზნად მიერ" კარგი ინტერესი გათვალისწინებული მოუთმენლად გამოთქვით საკუთარი ვარაუდი, თუ რით დამთავრდება ყოველივე.

თუ მეითხველი დახვეწილი არა წინასწარი განზრახვით, მეტი ფუნქციის მოსაძებნად, არამედ უნითობისა და დილტანტისების გამო, უფარვის სიუჟეტთან გვერინა საქმე. კარგ რომანებში ამგვარი რამ ფრიად იშვიათია, მაგრამ ქუშპარიტად კარგ ნაწარმოებს სხვა საშობორობა სდევს თან: გადახვეწვტ მომენტში მწერლები ინყებენ მეითხველის უშიზხოვად, ტყუილუბრალოდ გაღიზინებას და უტარგოლოვად გადააქვთ მისი ინტერესი თავიარი სიუჟეტური ხაზიდან ნაკლებ მნიშვნელოვანზე; ასეთი მდარე ხრიკის ნათილი დასტურია "როდა ფლემინგის" 3-ე თავი; ავტორის მშვენიერად ესმის, რომ მეითხველი მოუთმენლად ელის გაიგოს რობერტისისა და ცოდის შესვედრის შესახებ, მაგრამ ვერ ფარავს თავის, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულ ინტერესს ალექსანდრის მიმართ და მთელს გვერდს უთმობს ამ ახალგაზრდა გაიქვერას მაქინაციებს ფულთან დაკავშირებით. ბრწყინვალედ დანერგული წ გვერდი დიდი ვერაფერი გამართლებდა რომანის საზოხლრად დაბახიხვებული კომპოზიციისა.

მსახვერული პროზის ვიტორიანული ეპოქის შემდეგდროინდელი ქომაგნი, როგორც წესი, ცდილობენ დაგვარმშონონ, რომ კარგ რომანებში, გინცვე სიუჟეტის სწორედ გითხრაო, ვერც კი წარმოიშდებინა, რანაზრად შეიძლება არსებობდეს იდეური სიუჟეტი ხდომილებითი მხარის გარეშე (სხვე, როგორც სული მატერიის გარეშე). მაგრამ თუ მიანიც დავუშვებთ, რომ იდეურ სიუჟეტს შეუძლია იარსებოს განცალკევებით და ეს იდეულობითი მოცული რამ თავისი ფორმით უფრო მაღლა დგას პარტნიორზე, ანუ სიუჟეტის ხდომილებით მხარეზე (რამიც ძალიან ეჭვი შეპარება), მაშინაც არ შევიცვლი აზრს, რადგან დაუდევრობა ხდომილებითი სიუჟეტში სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია. ამ საკითხთან მიმართებაში ინგლისურ რომანთაგან უპირველესად მახსენდება "შარკ რე-ზერვუარის", ჯორჯ ელოიტის, დები ბრონტეებისა და ენტონი ტროლოპის ნაწარმოებები.

კომპოზიციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წესი მოითხოვს, რომ სიუჟეტი მთელი წიგნის მიმართვე არ გაქვედეს რომელიმე ერთი პირობითობის სისტემის საზღვარს. ნებისმიერი სიუჟეტი, ყველაზე ხელშეუბნელი ჩვენი თანამედროვე ნატურალისტების ნაწარმოებებშიც კი, წარმოადგენს - და არ შეიძლება არ წარმოადგენდეს - ცხოვრების სტილიზაციას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს მიერ შექმნილი პირობითობათა სისტემა უფრო მიახლოებულია ცხოვრებისეულ სიმართლესთან, ვიდრე ჩვენი წინამორბედების სისტემები. ალბათ მართლაც ასეა, მაგრამ ეს მიახლოება იმდენად უმნიშვნელია, რომ არამტიკულად შეუშინველია. შეიძლება ნაშუადღევს მფრინავი უფრო ამაღოს იყოს მშესთან, ვიდრე მექანიკოსი, მაგრამ ეს მშხმედ ამაძილოს გათვალისწინებით მფრინავის მიერ მიღწეული სიმძალე თითქმის არაფერს წარმოადგენს. ვერც ერთმა რომანისტმა ჯერჯერობით ვერ მოახერხა, და ალბათ ვერასდროს მოახერხებს, მიუახლოვდეს ცხოვრებას თუნდაც რამდენიმე ასეული მილიონი მილით. ჩვენ უბრალოდ არ ძალგებთ დავინახოთ, თუ რაოდენ დაშორებულნი ვართ ჯერ კიდევ ცხოვრებასთან. რაც უფრო მყარად იკიდება ფეხს პირობითობათა ახალ-ახალი სისტემა, მით უფრო თვალსაჩინო ხდება მისი ნაკლი. ვერც იმ აზრს გავიზიარებ, რომ "ნატურალისტებმა" ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, შექმნეს საბოლოო ფორმულა,

რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრებისეულ სინამდვილეს. "ნატურალისტები" ხომ მხოლოდ განსაზღვრესა, რომელიც გამოსატყუებს თვითკამყოფილებას.

სწორედ ამიტომ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად იმ "სწორიბითი" სიუჟეტების განიქიება, რომლებიც ცუფუნებინან პირობითობათა უფრო ძველ სისტემებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიკენსის ესმოდუნენ თავს. იყო დრო, როცა შეც იგუვს ჩავდიოდ; მაგრამ თავისი სისტემის ფარგლებში დიკენსის სიუჟეტები უზადოა, თავისუფალია დილტანტისებისაგან, გამორჩევა მაღალი პროფესიონალიზმითა და შემოქმედებითი ოსტატობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიკენსი არ გადადიოდა ერთი პირობითობიდან მეორეზე, რასაც ვერ დაიკვივნის ბვეერი ჩვენთაგანი. თომას ჰარდისაც ხომ სდებდნენ ბრალს სიუჟეტების პირობითობაში, მაგრამ ის იმ იშვიათ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, საკუთარი ქმნიანი მათი აკვიტებული იდეის შესაბამის რეალური პირობითობის სისტემისა. ჰარდის აკვიტებული იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ზებუნებრივი ძალა თავისი ახირებული სურვილისამებრ ათამაშებს ადამიანებს და მწერალი კვლავ და კვლავ ბრწყინვალედ ასახავს ხორცს ამ იდეის თავის ნაწარმოებებში; იდეის ამგვარ უზადო განხორციელებას თითქმის მოთმინებითა და თვინიერებით უნდა აღვსოვანტურალისტების სული და გული, მაგრამ ეს ასე არ მომხდარი. სიუჟეტი რომანისა "ტყვიანი მხარის ბინადარი" იდეის დახვეწილი, სიმბოლური ხორცშესხმის ბრწყინვალე მაგალითია. მასთან შედარებით ისენის სიმბოლშიზიც კი ტელეფონად მოუქმდები შეიძლება მოგვეგვენოს. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ რეალურ ცხოვრებაში ამგვარი რამ ვერ მოხდებოდა, მაგრამ ეს ხომ ყველა რომანზე შეიძლება ითქვას. ალბათობა იმისა, რომ რომანში აღწერილი ამგვარი შეიძლება რეალურად მომხდარიყო, უადრესად მცირეა და ეს ბუნებრივია. პირობითობები სავალდებულოა და რომანისტის ვალია იყოს დახვეწრებული პირობითობათა საკუთარი სისტემის ფარგლებში. რომანისტების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ ასრულებს თავის ამ ვალს. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ვყოფთ მამებზე ჭკვიანები? მაგრამ ხომ არცა ვართი - ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია.

V

მოვით, ნუ შევეგებებით ორწამეტვირთის უადრესად მიზიბველ, მაგრამ მეორეხარისხოვან საკითხს და დასკვნით ნაწილში ყურადღება მივაყოლოთ იმას, თუ როგორ იქმნება რომანი - მსგავსება და არეკულ ცხოვრებასა - ყოველდღიური, საათობრივი ყოფიერება, რომელსაც კრიტიკული თვალს ადევნებს წიგნის ყველა გვერდზე მწერალმა აირჩია თემა, შეისისხლებოდა იგი და დასახა ნაწარმოების აგების გეგმა. ამის შემდეგ უკვე ცოცხალი ჩანასახი უნდა განვითარდეს და სრულყოფილ ორგანიზმად იქცეს. საიდან და რა გზით მოაქვს რომანისტს ეს ცხოველყოფელი ქსოვილი, რომელსაც მასალად იყენებს? პასუხი ასეთია: იგი საკუთარ თავს აჭრის მას. მსახვერული პროზის ნებისმიერი ნაწარმოები საბოლოო ვაჟში ავტობიოგრაფიულია და ეს მართებულია. აბა კიდევ როგორი უნდა იყოს? დაე რომანისტმა ჩაინიშნოს თავისი შთაბეჭდილებები, რათა შემდეგ გამოიყენოს ისინი. მან გამოიმუშავა უნარი, მოწყდეს ნაწველ მოვლენებს და, ასახოს სრულად საბირისპირო რამ. მწერალმა არ ძალის შექმნას ფსიქოლოგია. ზოგჯერ ვინმე გადავლენს მას თავის გრწმობებსა და აზრებს, რაც უადრესად საქარია შემოქმედებითი საქმიანობისთვის, მაგრამ ამგვარი ილბოდავობა ისე იშვიათია, რომ სათვალავში ჩასაადვლად არ ღირს. მწერალს ხელენიფება რაღაც გარეგნული ნიშნე-

ბით ამოიცივნოს უხილავე ფსიქიკური პროცესები. მას შეუძლია ცოცხალი ადამიანები გამოიყენოს თავისი პერსონაჟების შესაქმნელად, ისე განავითაროს მათი ხასიათები, რომ ვერც კი ვიცნობთ, მაგრამ ეს ყოველივე წერლობაშია. ასეთივე წერილობაა ნებისმიერი საექსპლურ გამოკვლევა. ჭეშმარიტი შემოქმედებითი მომენტისათვის, რომელიც წინასწარ ყველა გვერდზე უნდა იგრძნობოდეს, მწერალი საყრდენს მხოლოდ საკუთარ თავში პოულობს; ის თავის მიზანს ისე აღწევს, რომ პრაქტიკულად არაფერს თხზავს, მხოლოდ ნაწახსა და განცდილს აღწერს ოდნავ შეცვლილი სახით.


თუ გავეცნობით ნებისმიერი პირველხარისხოვანი რომანისთვის ცხოვრებას, ნათელი გახდება, რომ მისი ნაწარმოებები საესეა ავტობიოგრაფიული ფაქტებით და ყველა კარგი რომანი გაცილებით უფრო ბიოგრაფიულია, ვიდრე კირკიტა გამოკვლევები. გამჭვირავი კრიტიკოსისათვის არ იქნება ძნელი მწერლის ბიოგრაფიიდან გამოყოფა ესა თუ ის მოვლენა, რაც საფუძვლად უდევს რომანის ცალკეულ ეპიზოდებს, მოქმედ გმირებსა და მათ ხასიათებს; მაგრამ ეს ბიოგრაფიის გარეგნული მხარეა, ხოლო რაც შეეხება შინაგან, ანუ სულიერ ავტობიოგრაფიას, რომლითაც გააქვნილია ნაწარმოების ყველა გვერდი და ცხოველყოველობას ანიჭებს რომანს, ხშირად უხილავე ირება. ყველა პერსონაჟის შესაქმნელად სხვადასხვა დებიზოში მწერალი იძულებულია დამაჯერებელი დებულებების ძიებაში კვლავ და კვლავ გააანალიზოს საკუთარი პიროვნების ის მხარე, რომელიც მიესადაგება ამ პერსონაჟს. მწერლური ტალანტის საფუძვლად მისი მხოლოდო საეკლესიო ჰუმანიზმი წარმოადგენს. ამის შედეგად (და შეიძლება ამის გამოც - ვერ ვეტყვი!) მასში ყველა ადამიანისგან არის რაღაც. ჭეშმარიტ რომანისტს ყოველთვის, როცა მისთვის გაუგებარია კონკრეტული პერსონაჟის ქცევა კონკრეტულ ვითარებაში, უფიქრობი ეჭვითება თავს: "როგორ მოვიქცეოდი მე მის ადგილზე?" - და მისი პასუხი ასახავს რომანში პირობებს. ამგვარი შემთხვევები მწერლის პრაქტიკაში არცთუ იშვიათობაა. კარგი რომანი ყოველთვის ავტობიოგრაფიაა, რომელსაც კაცობრიობის ელფერი დავრავს.

მატერული ლიტერატურის ავტობიოგრაფიული ბუნებით აისხნება ის შემოქმედებითი გამოცდებები, რომლისგანაც არც ერთი რომანისტი არ არის დაზღვეული, მათ შორის დიადი მწერლებიც კი. ისინი კვლავ და კვლავ საკუთარი ბუნების ყველაზე ძლიერ იმპულსებს ემორჩილებიან. მათ მუდმივად ეწვევებოთ, რომ დაკვირვების შედეგად სრულიად ახალი ხასიათი შექმნეს, მაგრამ ეს ხომ მათი საკუთარი ფსიქოლოგიის კიდევ ერთი ტრიუფია და სხვა არაფერი. რომანისტს შეუძლია სრულიად დამსახურებულ დიდებას მიადნიოს ერთადერთი ხასიათის შექმნითაც კი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ყოველ ახალ შემთხვევაში ახალ ელფერს მიანიჭებს მას. ყველაზე დიად მწერლებსაც კი არ ძალუთ ათზე მეტი ტიპის შექმნა, რომლებიც სრულიად განსხვავებული იქნებიან ერთმანეთისგან. სერბერისა და ქრისთოფის მიერ შედგენილ ბალზაკისეულ გმირთა ჩამონათვალში, რომელიც 61 გვერდისგან შედგება და 200-ზე მეტ პერსონაჟს შეიცავს, დაახლოებით 12 თუ იქნება ნამდვილად დამოუკიდებელი და გამოირჩეული ხასიათი. არც ერთ შემოქმედს არ გაუგებრებია საკუთარი "შე" იმგვარი თვითდაჯერებითა და წარმატებით, როგორც ეს გააკეთა ბალზაკმა. მისი მთავარი მოქმედი პირები - ტუნეი, მშვენიერი ბინიერი მსახიობი ქალი, მშვენიერი ბინიერი ჰერცოგინია, მაღალი წრის კონტარპუნა ყმანვილი კაცი, სათნო ახალგაზრდა კაცი, მაღალი წნეობის ქალიშვილი, რომელიც ამირულად იტანს ყოველგვარ ტანჯვას, ანგლოზისებრი ცოლი და

დედა, ღარიბი ნათესავი ქალი და კაცი ან თუნდაც მტერი და ერთგული მსახური - ნამდვილად ფიგურირებენ შეცვლილი სახელებით "ადამიანური კომედის" ფურცლებზე. ფრენც შარისის დაკვირვებით, იგივე შეინიშნება შექსპირის შემოქმედებშიც. მისი შამლეტი - დანიელი პრინცი - მხოლოდ და მხოლოდ ბოლო და საუკეთესო ვარიანტია მწერლის უამრავი შამლეტისა.

დაბოლოს, შეიძლება ვინმეს დაეგებოს შეკითხვა: მაინც რაში გამოიხატება შემოქმედის მიერ საკუთარი პიროვნებიდან და ცხოვრებიდან მოპოვებული მასალის კონკრეტული გადამუშავება, ანუ ცხოვრების გარდაქმნის პროცესი ხელოვნებად. არჩეული პირობითობათა სისტემა უქმნის მწერალს სინამდვილის ილუზიას; იგი რაც ძალი და ღონე აქვს უნდა ჩაეჭიდოს ამ ილუზიას და არ უღალატოს მას; წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი გათვითცნობიერებული ხდება და შედეგად უფარგავს. ყველაზე დიდი ზადი ამ შემთხვევაში სენტიმენტალობაა, რაც ნაწარმოების სიკვდილის ტოლფასია. ყველა შემოქმედი განიცდის ცდუნებას იყოს სენტიმენტალური, ან ცინიკური, რაც პრაქტიკულად ერთი და იგივეა და, თუ ის რაღაც მომენტში მინც აყვამ და ცდუნებას, მკითხველი გულში ფიქრობს: "ცხოვრებაში ასე არ ხდება!" და ისიც კარგავს ილუზიას არსებობს მკითხველთა ორი კატეგორია - შემოქმედის მტრები და მეგობრები. პირველი (ისინი უამრავი არიან) აღფრლოვანებული რჩებიან ორი კვირა, ან ერთი წელი; ისინი ვერ იტანენ უკომპრომისო ბრძოლას სიმართლისათვის; მათ მოსწონთ, როცა შემოქმედი აყვება ცდუნებას და დაღალტობს ჭეშმარიტებას; ამ შემთხვევაში ისინი ნაშობიანებენ: "რა მიმზიდველია!"; მეორენი აფასებენ ბრძოლას სიმართლისათვის და თუ გულში მაინც გაიღვივებენ "ცხოვრებაში ასე არ ხდება!", ასე იმტრობიქცევინ, რომ რცხვენიათ შემოქმედის გამო. ასეთები ძალზედ ცოტანი არიან, სულ რაღაც მუჭა, მაგრამ რა ძლიერი მოქმედი და უკვდავებსაც სწორედ ისინი ანიჭებენ შემოქმედს.

ინგლისურიდან თარგმანა მანანა ბაზარაშვილმა





ირანელთა ნაციონალური ეპოხი - ფირდოუსის "შაჰნამე" შინაარსის გარდა, თავისი ფორმითაც უაღრესად საინტერესო ლიტერატურული ფაქტია. ეს გრანდიოზული თხზულება ციკლური წარმოშობის ნაწილებისაგან შედგება. მისი პირველწყაროს ცალკეული დასრულებული ლექსები, რომლებიც სინკრეტიზმის ეპოქაში, სასიმილო ფანრის სტადიაზე ჩანს ჩასახული, იმთავითვე გამიზნული უნდა ყოფილიყო ერთაქტიანი შესრულებისა და მოსმენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პოემას წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი თემატიკის მქონე პროლოგი (ღმერთი, გონება, შესაქმე, მოციქულის შესხმა, ეპოსის წყაროები, წიგნის შეთხზვის მიზეზი, წიგნის დამკვეთის სოტბა, სიტყვის ღირსების განსჯა), მისი თითოეული ციკლი აგრეთვე გაფორმებულია შესავლითა და დასკვნით (ანუ პროლოგ-ეპილოგით), რაც, ცხადია, ავტორისეული სიტყვაა. ფოლკლორულ წყაროებში ისინი არ შეიძლებაოდა ყოფილიყო. ხსენებული შესავლები შეიცავს მომღვეროთრობის საგანზე მინიშნებას და ამჟღავნებს ავტორის დამოკიდებულებას ამ საგნისადმი. პროლოგ-ეპილოგი ამკვეთრებს მოცემული ციკლის ავტონომიურობას და ეგვბ ესეც იცოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ირანის კულტურამ ჩვენს დრომდე შეინარჩუნა "შაჰნამეს" მკითხველთა ინსტიტუტი და მსმენელთა ფართო აუდიტორია.

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ "შაჰნამეს" ერთ-ერთი ყველაზე სველიანი ამბის - სიაუსის ციკლის პროლოგსა და პირველ თავს.

შინარგმანელი

შაჰნამე

ამბავი სიაუსისა

პეი, მესიტყვევ, ოქროპირო და აზრნათელი, კვლავ გაგვაგონე აწ ამბავი, გულის წარმტაცი.

როს სიტყვის ძალი სიბრძნის სიღრმეს გაუტოლდება, სული მგონისა მაშინ პოვებს ჭეშმარიტ ლხენს.

ხოლო თუ ზრახვა კაცს ავი აქვს და უკეთური, იმავ სიავით ძირშივე სპობს ნაყოფს აზრისას.

ბევრსაც ეცადოს და ამ ცდაში ჯვარს იცვას თავი - მოყიენებული დარჩეს მაინც ბრძენკაცის თვალში.

მაგრამ ვინ ზედავს აუვს თვისსა, რომელი კაცი? ზნე და ბუნება თვისი უჩანს ყველას კეთილად.

ნაღვაწი შენი წარუდგინე კაცს გულმეცნიერს, ნულა ძეგს უქმად იგი, რაცა გასაცემია.

თუ მოიწონებს მას სწავლული და გიძღუნის ქებას, წყლით აივსება წყარო შენი, მაცოცხლებელით.

აწ მსურს მოვითხროთ ძველთაძველი ამბავი ერთი, გამორჩეული კვლავ დეკანის ნაამბობთავან!

ფერგადასულინი ეს ამბავნი აწ ჩემის გარჯით განაზღვებიან ზალხისათვის კეთილსახსოვრად.

თუკი მებოძა მე სიცოცხლის ხანგრძლივი წლები, ამ ძვეყნის საღმოს დაღხინებით თუ შევრჩი დიდხანს, -

ახალი მარგამანი

ერთ ხეს დავტოვებ, მსხმოიარეს,
ჩემგან დანერგულს,
არ დაეღევა მას ნაყოფი
საწუთროს ბაღში.

თუმცა გარდავციდი ჟამთა სვლაში
ორმოცდათერამეტს,
საკვირველება უამრავი
თავს გარდამხდია -

არ დამშრეტია ჯერ სიცოცხლის
წაილი, ჟინი,
სამისნო წიგნში კვლავ ვეძიებ
დღეკეთილს ჩემსას.

სწორედ ამაზე უთქვამს მობედს² -
ბრძენს და გამჭირიას:
არ განახლდება გაცვეთილი
ერთხელევე სული.

ვიდრე ხარ ქვეყნად, ლექსთა თქმაში
განლიე დღენი,
აზრნათელი და ზნეკეთილი
იყავი მუდამ!

როს მიიცივლები და სამსჯავროს
წარსდგები ღვთისას,
ის განიკითხავს აესა და კარგს
შენთა საქმეთა.

მასვე მოიმკი, რაც ოდესმე
დაგითვისია,
ერთხელ ნათქვამი სიტყვა შენი
წინ დაგიხვდება.

ენაკეთილი კაცი ლანძღვას
არვისგან ისმენს,
სიტყვას თუ იტყვი, ღირსეული
უნდა თქვა მხოლოდ.

მაგრამ ღეჰყანის ნამბობი
გავსინჯოთ ახლა.
ყური მიუგდე, რას მოგვითხრობს
კაცი მესიტყვე.

ამგავი სინაუშის ღეღისა

ბრძანებს მობედი: ერთ დღეს თუსი
გამთენიის ჟამს
მამლის ყვილზე ზე წამოდგა
და თან იახლა

გუდარზი, გივი, რამდენიმე
კვლავ ცხენოსანი,
შეეკაზმნენ და სწრაფად განვლეს
ქალაქის ბჭენი.

დიდ ველს მიმართეს დალუისას³
მათ სანადიროდ,
ნებას მოუშვეს ავაზანი
და შეკარდენნი.

ყოველი კუთხით წამორეკეს
ნადირ-ფრინველი,
იმათ დევნაში მიაღწიეს
ნაპირს მდინარის.

იმდენი ჩანდა დახოცილი
და დაკოდილი,
რომ იკმარებდა ლაშქრის საზრდოდ
ორმოც დღღეს სრულად.

იმ სანახებთან ახლოს იყო
მიჯნა თურქეთის,
კარავთ სიმრავლეს დაეფარა
მიწა ერთიან.

შორით მოჩანდა მშვენიერი
ქალაქი ერთი,
თურის⁴ მიწა-წყლის მეზობლად და
საზღვრად მდებარე.

თუსმა და გივმა გააჭენეს
ცხენები მარდად.
უკან ჩამორჩა რამდენიმე
მხლებელი ხასი.

იმ მწვანე ჭალას მიაშურა
ორმა მხედარმა
და შეიქცევს ნადირობით
მათ ერთხანს თავი.

უეცრად ტყეში თვალი ჰკიდეს
ერთ უცხო ასულს,
მყისვე მიჰმართეს მზეთუნახავს
პირმოცინარეთ.

მსგავსი სიტურფით არ შობილა
არავინ ქვეყნად.
ვერ უპოვიდა ხინჯი გზასაც
მშვენებას მისას.

ნაკეთად საროს და პირად მთვარეს
თუ ჰკიდებდა თვალს,
დააბრმავებდა კაცს სიტურფე
თვალშეუღვამი.

ჰკითხა მას თუსმა: “პირმთვარეო,
მითხარი ერთი,
ამ ჭალაკისკენ ვინ გაჩვენა
შენ გზა სავალი?”

ასე მიუყო მან პასუხად:
“გამწირა მამამ,



განვსორებებარ მშობელ კუთხეს,
 მისგან ლტოლვილი.

ღამით დაბრუნდა იგი სმიდან,
 უზომოდ მთვრალი.
 როს თვალი მკიდა, შორიდანვე
 ბრაზმორეულმა

მყისვე იმისველა შხამნალესი
 მახვილი ბასრი -
 თავის მოკვეთას ჩემსას მასინ
 იგი ღამობობდა”.

ჩამომავლობა ჰკითხა ახლა
 ქალს ფალავანმა,
 მან გაიხსენა გულმოდგინედ
 თავისი გვარი.

ასე მიუგო: “თესლთავანი
 ვარ გარსივანის.⁵
 აფრიდუნ⁶ მეფის თვისტომი და
 შტო მისი ძირის”.

კვლავ ჰკითხა თუსმა: “როსად დახვალ
 ასე ქვეითად,
 ცხენს რად არ შეჯექ და მეგზური
 რად არ იახელ?”

მიუგო ქალმა: ცხენი ჩემი
 დაუარდა გზაში,
 მეც მიწად დამცა ქროლვისაგან
 ქანცაწყვეტილმა.

დაუთვალავი მქონდა ოქრო,
 თვალმარგალიტი,
 ოქროსი მერქვა, მოოჭვილი,
 თავზე გვირგვინი.

მაგრამ შემემთხვა ფათერაკი.
 წარმტაცენ ყველა,
 ქარქაშის დარტყმით მომაყენეს
 ტკივილი დიდი.

გამოვექეცი იმ ყაჩაღებს
 მე შიშნული,
 მას შემდეგ თვალზე ცრემლი სისხლის
 არ შემშრობია.

ვიცი, როდესაც მოეგება
 გონს მამაჩემი,
 მღევარს დაგზავნის უცილობლად
 ჩემს საძებნელად.

და დედაჩემიც მოიჭრება
 ფიცხლადვე ჩემთან,
 ვერ გადაიტანს ჩემს მოკვეთას
 მშობელ კუთხიდან”.

ფალავნებს გული აუტოკადო
 იმ ქალის ეშხით,
 თავი დაკარგა გმირმა თუსმა,
 მემან ნოვზარის.

თქვა ნოვზარის ძემ: “მე ვიპოვე,
 იგი ჩემია,
 მოვაგველვები ჩემს ბედაურს,
 ჩანს, არ ამაოდ”.

აჩერებს გვი: “ჰე მეფეო,
 ლაშქართ თავადო!
 განა ჩემს ვკვერდით არ იყავ, როს
 დავყარეთ სპანი?”

არ ცხრება თუსი, ნოვზარის ძე
 კვლავ დაობს იგი:
 “მე მოვადექო ამ ადგილებს
 სწორედ პირველად”.

გვიო არ უთმობს: ნუ იტყვიო
 მეტად მაგ სიტყვას,
 ნადირის კვალმა მომიყვანა
 აქ შენზე უწინ.

ნუ იკადრებო მრულე სიტყვას
 მხეკალის გამო,
 ვაჟკაცს არ ჰფერობს, ამ მიზეზით
 ატეხოს შფოთი.

კვლავ შეჰყენენ სიტყვას და გაცხარდა
 დავა იმგვარად,
 ესლა დაასკენეს: მოვკვეთოთო
 იმ მთვარეს თავი.

ისევ ცილობა ჩამოვარდა
 ფალავანთ შორის,
 ბედზე მიუსწრო შუაკაცმა
 მომრიგებელმა.

ურჩია: “ქალი ირანის შაჰს
 მიჰგვარეთ კარზე,
 იმან განსაჯოს. აასრულეთ
 თქვენ ნება მისი”.

ეკეთათ რჩევა. ყურად იღეს
 თუსმა და გვიმა,
 ირანის მეფის კარისაკენ
 იქციეს პირი.

მეფე ქალსმა ქალს შეავლო
 რაწამსაც თვალთ,
 მყის მისი ტრფობა და სურვილი
 გულს ჩაემსჭვალა.

ორ გმირ ფალავანს მიუბრუნდა

მაშინ ზელმწიფე,
“აწ დასწინლხართო, - უბრძანა მათ, -
ჭირსა გზისასა.

ქურციკია თუ მინდვრის შველი
გულისწამლები,
მონადირება მისი ჰყურობს
დიდებულს მხოლოდ.

ახლა მიამბეთ - და თხრობაში
განვლით ეს დღე -
თუ ავაზებთ ნათელი მზე
ვით შეიპყართ?”

ქალს ჰკითხავს მეფე: ვისი ხარო
გვართი და ტომით,
სახე ფერიის ჩამომავალს
გიგავსო სრულად.

მიუგო: “ღედა ხათუნია
დიდგვაროვანი,
მამა კი - თესლი სახელოვან
აფრიდუნისა.

გმირი სპასკეტი გარსივანა -
პაპაა ჩემი.
იმ კუთხის მიწა დაუფარავთ
მთლად კარეებს მისას”.

“მერე ეგ გვარი დიდებული,
ეგ სიღამაზე
გინდა დააჭკნო, მთლად უკვალოდ
ქარს გაატანო?

ოქროს სასახლეს ავიშენებ,
სახამსოს შენსას,
თავადად დაგსვამ პირმთვარეთა,
ვითარ შეგფერის”.

პასუხად ჰკადრა მეფეს ქალმა:
“რაჟამს ვიხილე,
გამოგარჩია გულმა ჩემმა
ფალავანთ შორის”.

ათი ფეხმარდი ცხენი, ტახტი
და გვირგვინები
მეფის დასტურით გაუბოძეს
ორივე სტუმარს.

საწოლსა ბრძანა შეეყვანება
მეფემ ქალწულის,
ძვირფას საჯდომზე დაბრძანება
მისი სვიანად.

ტახტი დაუდგეს სპილოს ძელისა,
უცხოდ ნაკეთი,
თავსმოკვეილი ფირუზის ქვით
ოქროს გვირგვინი.

დიბა-ატლასით მორთეს ქალი,
ყვითელი ფერის,
იაგუნდებით, ფირუზებით,
ლაჟვარდის თევლებით.

ღეთის განჩინებით რაც ეგების,
ჰგებდა ყველა,
ბრწყინავდა წითლად იაგუნდი,
ჯერ გაუთლელი.⁷

სამრუსულიდან თარგმნა ივანე პალაძემ

1. დეჰკანის ნაამბობი - სიუჟეტის გაუცხოების ლიტერატურული სერბი, რომელიც ხშირად დადასტურებული "შაჰნამეში". დეჰკანი - მემამულე, სოფლის განმგებელი.
2. მობედი - ზოროასტრელთა ქურუმი.
3. დაღუის ველი - ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა ცნობილი არ არის.
4. თური - იგივე თურანი.
5. გარსევარზი - თურანელი გმირის - აფრასიაბის ძმა.
6. აფრიდუნფერიდუნი - ირანის მითოლოგიური მეფე. ზოჰაკის ჩაგვრისაგან ქვეყნის განმათავისუფლებელი და მისივე კანონიერი ხელმძღვანელი გამარჯვების, თავისუფლებისა და სამართლიანობის სიმბოლო.
7. გაუთლელი იაგუნდი - ქალწულობის აღმნიშვნელი მეტაფორა.



ლიტერატურული ამნეზია

პატრიკ ზიუსკინდი 1949 წელს დაიბადა გერმანიაში, ქაიშაბში, მიიღო მუსიკალური განათლება, 1968-1974 წლებში მიუნჰენის უნივერსიტეტში სწავლობდა ისტორიას, მუშაობდა ფირმა "სიმენსის" საპატენტო განყოფილებაში, დენს-პარში, "პინგ-პონგის" მწვრთნელად. პირველი ლიტერატურული წარმატება პატრიკს ერთაქტიანმა მონოლოგმა, "კონტრაბასმა" მოუტანა (1980). მიუნჰენის თეატრში გამართული პრემიერის შემდეგ პიესა საოცარი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში. მუშაობდა ტელევიზიაში (სერიالები "მონა-კო-საფრანგეთი" და "კირროიალი"). 1985 წელს გამოცა რომანი "პარფიუმერი", რომელმაც ზიუსკინდს მსოფლიო აღიარება მოუტანა. რომანი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი 33 ენაზეა თარგმნილი, გაყიდულია მილიონზე მეტი ეგზემპლარი და რვა წელზე მეტი ხნის მანძილზე განუწყვეტლად ბესტსელერების სიაში ზღვებოდა. ასეთი წარმატება გერმანულ ლიტერატურაში არავის ახსოვს გიუნტერ გრასის "თუნუქის დოლიდან" მოყოლებული.

1989 წელს პატრიკ ზიუსკინდმა გუტენბერგის ლიტერატურული პრემია მიიღო, 1996-ში კი გერმანული პრიზი საუკეთესო კინოსცენარისტისთვის (ფილმისთვის "როსინი", რეჟისორ ჰელმუტ დიტლახი ერთად).

ზიუსკინდი თითქმის ყველთვის თავს არიდებს საჯარო გამოსვლებს, არ იძლევა ინტერვიუებს და ინტერნეტში მისი ლაშქის არც ერთი ფოტო არ მოიპოვება (ოფიციალურ ვებ-საიტებზე რომ არაფერი ვთქვათ). ცხოვრობს გერმანიაში და საფრანგეთში.



ოცდა, რა კითხვა იყო? ჰო, გამახსენდა: რომელ...
...მა წიგნმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ყველაზე მეტი გავლენა რომელმა იქონია ჩემს განვითარებაზე, თავისი კვლია დატოვა, შემძრა და საერთოდაც, "ჭეშმარიტ გზაზე დამაყენა", ანდა სულაც გამომაშვტრა.

თუმცა, სიმართლე ითქვას, მთელ ამ აურზაურს უფრო გიჟურ-ტრანსპარენტული ან შოკური განცდების სუნი ასდის, მათ კი დაზარალებული მხოლოდ თავის კომპარულ სიზმრებში თუ გამოიხმობს ხოლმე, მაგრამ არამც და არამც სიფიზილოსას; ეგეთ რალაცემზე წერა და ამ ფორმების ხმაოდლა განცხადება ხომ საერთოდ წარმოუდგენელია; ამაზე, თუ არ ვცდები, ერთმა ავსტრიელმა ფსიქოლოგმა მიუთითა, ვისი სახელიც ახლა თავში არ მომდის - თავის საპროგრამო სტატიაში, არადა, ამ სტატიის სათაურსაც ვერ ვიხსენებ ზუსტად. ვიცი, რომ იგი შესულია კრებულში საერთო სახელწოდებით "მე და შენ" თუ "იგი და ჩვენ" ან "მე თვითონ" თუ რალაც ეგეთი (ზუსტად არ ვიცი, ვინ გამოისცა ეს წიგნი ხელახლა, "როვოლტმა", "ფიშერმა", "დეტევაუმ" თუ "ზურკამპმა", მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ ყდა თეთრი და მწვა-

ნე ჰქონდა, თუ მოყვითალო-ცისფერი, მე მაგონ, უფრო რუხ-ლურჯ-მომწვანი იყო).

თუმცა, ვფიქრობ, ეს კითხვა სულაც არ ისახავს მიზნად ჩემი ნეგოდარამატული სამკითხველო გამოცდილების შესწავლას, არამედ უფრო იმ გასაოცარ სდომიციებს გულისხმობს შემოქმედებით ცხოვრობდნად, რომელიც, მაგალითად, ცნობილ ლექსში, "მშვენიერ აპოლონშია" გამოხატული... თუმცა არა, მე მაგონი ამ ლექსს "მშვენიერი აპოლონი" კი არა, რალაც სხვა სათაური ჰქონდა, უფრო არკაული, "ყმანვილის ტორის", "ძველი მშვენიერი აპოლონი", თუ რალაც ამდგავარი, მაგრამ მე მაგონი თემას გადავუხვით... ერთი სიტყვით, გამოხატულია ამ ცნობილ ლექსში, რომელიც დანერა, დანერა... ჰმ... ახლა ავტორის სახელსაც ვერ ვიხსენებ, მაგრამ ნალდად ვიცი, ძალიან ცნობილი პოეტი იყო ძროხის თვალებითა და სწორი ულვაშით, იგი როდეს-ვარენზე ბინის შოენაშიც დაემხარა იმ გასიებულ ფრანგ სკულპტორს (მოიცა, რა ერქვა?) - ისე, ბინას ვამბობ, თორემ, ნამდვილი სასახლე იყო, პარიტი - ათი წუთი რომ მოუნდებოდი შემოვლას! (სხვათა შორის, ძალიან მაინტერესებს, საიდან იხილდნენ ამხელა ფულუმს, ან სად შოულობდნენ?) მოკლედ... რომელიც გამოხატულია ამ შესანიშნავ ლექსში, რომელსაც რომ მომკლა, ზეპირად ვერ ვიტყვი, სამაგიეროდ, ბოლო სტრიქონი დამამახსოვრდა კარგად, მორალური იმპერატივივით: "უნდა შეცვალო ცხოვრება შენი!"

მაშ ასე, იმ წიგნების შესახებ, ჩემი ცხოვრება რომ შევცვალეს ამ პრობლემის გასაშუქებლად ჩემი წიგნე-

თქმა უნდა, წავითხული მაქვს, კვირების მანძილზე თავაწუნველად ვუჯექი ამ წიგნებს და თანაც, არც ისე დიდი ხნის წინ იყო ეს... რა წიგნებია, რა შკვითა? "ესმანა". ბიქოს! საინტერესოა! ავტორი ვინაა? ფ.მ.დოსტოვესკი. ში. მე გავინი ბუნდოვნად მახსოვს: რომანის მოქმედება, თუ არ ვცდები, მე-19 საუკუნეში ვითარდება და მეორე ტომში ვიღაცა თავს იკლავს პისტოლეტით. მეტს ვერაფერს გეტყვით.

სკამზე ვჯდები სანერ მაგდალასთან. ვაი, სირცხვილო! ეს ხომ სკანდალია! აი, უკვე ოცდაათი წელია კითხვა ვიცი და ამ დროის მანძილზე აუარება და ყუ არა, საკმაოდ ბევრი წიგნი მაინც წავიკითხე და ყველაფერი, რაც დამჩრა, ერთი ბუნდოვანი მოგონებაა იმის შესახებ, თუ როგორ იკლავს გმირი თავს პისტოლეტით ათასგვერდიანი რომანის მეორე ტომში. ოცდაათი წელი სულ ტყუილად ვკითხულობდი! ჩემი ბავშვობის ათასობით საათი, ყმანვილობისა და ახალ-გაზრდობის წლები კითხვაში გავატარე და მესხიერებას არაფერი დარჩა. თანაც, ამ ავადმყოფობისგან არათუ არ ვიკურნები, არამედ იგი პროგრესირებს კიდევ. დღეს, როცა რომელიმე წიგნს ვკითხულობ, ბოლომდე არმისულს წიგნის დასაწავისი მავინყდება ხოლმე. ჩემი მესხიერება ზოგჯერ ერთი გვერდის და-მასხორებასაც ვერ "ქაჩავს" და ასე მიგრჩავ აბზაციდან აბზაცამდე, ერთი წინადადებად მეორემდე და მალე, ალბათ მხოლოდ სიტყვების დამასხორებას-და თუ შეაძლებს ჩემი ცნობიერება, სიტყვების, რომლებიც გაუგებარი ტექსტის ბურთულიდან ამოტივტივდებიან, მოწყვეტილი ვარსკვლავებივით უკანასკნელად გაკრთებიან, რათა სრული დავიწყების მღვრიე დინებას მისცენ თავი. ლიტერატურულ დისკუსიებზე კარგა ხანია ხმას აღარ ვიღებ, სირცხვილის მეშინია, ერთმანეთში ვურევ მერიკსა და ჰოფმანსტალს, რილესა და ჰოლდერლინს, ბეკეტსა და ჯოისს, იტალო კალვინოსა და იტალო სვევოს, ბოდლერსა და შოპენს, ჟორჟ სანდსა და მადამ დე სტალს... როცა ციტატის ძებნას ვიწყებ, კვირები ვუნდები სხვადასხვა წყაროს ქექვას, რადგან არ მახსოვს ციტატის ავტორის გვარი, ამასობაში კი იმდენ ახალ სახელს ვაწყდები ხოლმე, რომ საერთოდ მავინყდება, რას ვეძებდი. აბა, როგორ შემიძლია ასეთ ქაოტურ სიტუაციაში გავცე პასუხი კითხვას: რომელმა წიგნმა შეცვალა ჩემი ცხოვრება? არც ერთმა? ყველა? ზოგიერთმა? არ ვიცი, არ ვიცი.

მაგრამ იქნებ - კითხვისას (ისევე როგორც ცხოვრებაში) ჩვენი შეხედულებების ფორმირება და მკვეთრი ცვლილებები მსოფლმხედველობაში რაღაცნაირად ფარულად მიმდინარეობს - თავს ვიმშვიდებ ხოლმე ხანდახან. იქნებ კითხვა ერთგვარი გაჟღერების აქტია, რომლის დროსაც ცნობიერება, მართალია ბოლომდე ნაყრდება, მაგრამ იგი ის ოსმოტურად მოუხელთებელია, რომ ცნობიერება ამ პროცესს ვერც კი ამჩნევს. შესაძლოა ლიტერატურული ამნეზიით შეუკრობილი მკითხველი ძალიან ხშირად იცვლება კითხვის წყალობით, თუმცა ვერ ამჩნევს ამას, რადგანაც კითხვის დროს მასთან ერთად იცვლება მისი ტვინის ის კრიტიკული ინსტანციებიც, რომლებიც მის ამ ცვლილებებზე მიაჩნებდნენ. იმისთვის კი, ვინც თავადაც წერს, ასეთი ავადმყოფობა, შესაძლოა მადლიც იყოს და უფრო მეტიც, აუცილებელი პირობა ლიტერატურული შემოქმედებისთვის, რადგანაც იგი იცავს მწე-

რალს, რათა არ თრთოდეს ყოველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისას და არც პლაგიატის ხილვს დანებდეს; ამის გარეშე ხომ წარმოუდგენელია რაიმე სერიოზულის შექმნა.

ვიცი, რომ სულ ტყუილად ვიმშვიდებ თავს და ვცდილობ თავი დავაღწიო ამ ავადმყოფობას: არ უნდა დანებდე ამ საშინელ ამნეზიას - ვფიქრობ მე - მთელი შენი არსებით უნდა დაუპირისპირდე ლტოეს მღვრიე ტალღებს, წელარ გადაეშვები ასე უკანმოუხედავად ლიტერატურულ ტექსტებში, არამედ ცივი, ნათელი და კრიტიკული გონებით უნდა შეაფასო ისინი, ამონაწერები უნდა გააკეთო, დაიხურო ზოგიერთი ადგილი, უნდა ავარჯიშო მესხიერება, ერთი სიტყვით: შენ უნდა... და აქ თავს უფლებას მიცემ, ერთი ციტატა მოვიყვანო ცნობილი ლექსიდან, რომლის ავტორსა და სახელწოდებასაც ვერ ვიხსენებ, მაგრამ კარგად მახსოვს უკანასკნელი სტრიქონი, როგორც მარნდიული მორალური იმპერატივი: "შენ უნდა" - ნათქვამია იქ - "შენ უნდა... უნდა..."

რას იზამ! ახლა უკვე სიტყვებიც კი დამავინყდა, მაგრამ არაუშავს, აზრი მაინც კარგად მახსოვს, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: "უნდა შეცვალო ცხოვრება შენი".

თარგმანი მაქსიმე ხარაზიძის



Patrick Süskind
Das Parfum
Die Geschichte eines Mörders
Diogenes

სწრაფვა სიღრმისაკენ



ერთ მტუტგარტელ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მშვენივრად ხატავდა, ერთმა კრიტიკოსმა, პირველ გამოვენაზე ასე მიმართა (ცუდი განზრახვისმაგვარი გულში არ სდებია, პირიქით, მხარდაჭერა სურდა):

- ის, რასაც თქვენ ხატავთ, ნიჭივრად შესრულებულია და მშვენიერია, ვგ არის, ჯერ სიღრმე აკლია.

ახალგაზრდა ქალმა ვერ გაიგო, მხედველობაში რა ჰქონდა კრიტიკოსს და მაშინვე დააიწყა კიდევაც. მაგრამ, ერთი დღის შემდეგ გაზეთში იმავე კრიტიკოსის რეცენზია დაიბეჭდა: - ახალგაზრდა ქალი უდავოდ ნიჭიერია, მისი ნახატები პირველივე შესხედვით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, სიღრმე არა აქვს.

ამან ახალგაზრდა ქალი ჩააფიქრა. ძველ საქალაქელებში ქექვა დაიწყო, მთელი თავისი ნახატები გადასინჯა, არ ტუშით სავეს ქილას სახურავი დაახურა, კალამი განმინდა და სუფთა ჰაერის ჩასაყვამად გაევიდა.

იმ საღამოს იგი სტუმრად იყო დაბატონებული. თითქოს კრიტიკოსის სიტყვები დაიზეპირესო, ყველანი მხატვარი ქალის დიდ ტალანტსა და მისი სურათების მშვენიერებაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ უკანა პლანზე მოწურულეებს და იმათ, ვინც ზურგიით იდგა მისკენ, ყურს კარგად თუ დაუგდებდა, ამ სიტყვებს გაიგონებდა:

- სიღრმე არა აქვს, აი რაშია საქმე... ნიჭი აქვს, აი სიღრმე კი, სამწუხაროდ, არა აქვს...

მთელი მომდევნო კვირა ახალგაზრდა ქალს არაფერი დაუხატავს. იჯდა თავის ოთახში გამუმუხლო, რაზეც არ უნდა ეფიქრა და - ნეტავი რატომ არა ამაქვს სიღრმეო, - თავში გამუდმებით ეს აზრი უტრიალებდა, აზრი, რომელიც ისე შთანთქავდა ყველავფერს, როგორც ღრმა წყლების რვაფეხა.

ერთი კვირის შემდეგ ქალი ისევ შეეცადა ხატვას, მაგრამ უხეში მონახატების მეტი არაფერი გამოსდიოდა, სულ უბრალო შტრიხის გამოყვანაც კი უჭირდა. ბოლოს ხელი ისე აუკანკალდა, ტუშის ქილაში კალმის ჩაყოფაც ვეღარ მოახერხა და ატირებულმა წამოიძახა:

- დიხს, ასეა, სიღრმე არა მაქვს!

მესამე კვირას სხვა მხატვრების ნამუშევრების შესანავლად ტომეულებს ჩაუჯდა. დადიოდა გალერეებში, კითხულობდა ნიგნებს სახვითი ხელოვნების თეორიის შესახებ. ბოლოს ნიგნის მალაზიაში გამოცოდველს ყველაზე ღრმა და გონიერი ნიგნი მოსთხოვა, რის პასუხადაც გამოცოდვლმა ვინმე ვიტტენშტეინის შრომაზე მიუთითა, მაგრამ იქიდანაც ვერაფერი გამოაღწია.

ქალაქის მუზეუმში, სადაც "ევროპული ნახატის 500 წელი" იყო გამოფენილი, მოსწავლეების ერთ ჯგუფს შეუერთდა, ლეონარდო დავინჩის ერთ-ერთ ნახატთან მოულოდნელად წინ წამოედგა და მხატვრული აღზრდის მასწავლებელს, რომელიც ჯგუფს დარბაზებს ათვალერებინებდა, ჰკითხა:

- მაპატიეთ, რომ ვერ მეტყვიოთ, აქვს აი ამ ნახატს სიღრმე?

მასწავლებელმა მოუირიდებლად ჩაიცინა:

- პატივცემულო, თუ ჩემთან გასართობად მოხვედით, დიდი დილობით ცოტა უფრო ადრე უნდა ადგიო!

ამაზე ჯგუფმა გულიანად გადაიხარხარა, ახალგაზრდა ქალი კი შინ ატირებული წავიდა.

იმ დღიდან როგორღაც შეიცვალა, უცნაური გახდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი იშვიათად ტოვებდა თავისი აბტელიეს კედლებს, ხელიდან მინც არაფერი გამოსდიოდა. დიდხანს ვიფიზილო, აბებით იჭვიკეზობდა, თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაში სჭირდებოდა ეს სიფიზილე. ძალიან რომ დილილებოდა, სკამზე ჩამოეყინებოდა - ვაითუ ღრმად დამეძინოსო, სანოლში ჩანოლისა ეშინოდა. მერე სმაც დაიწყო. მთელი ღამეები სინათლეს ანთებულს ტოვებდა. ერთხელაც ერთმა ბურღიწელმა ანტიკვარმა დაურეკა და რამდენიმე ესკიზის გაკეთება სთხოვა: მაგრამ ქალმა ყურმილში ყვირილი დაუწყა:

- თავი დამანებეთ, სიღრმე არა მაქვს, გესმით, სიღრმე!

ხანდახან პლასტიკინით ძერწავდა, უფრო სწორედ, ან უბრაოდ სრესდა თიებიოთ, ან პატარა ბურთულებს აგორგლებდა. გარეგნულადაც მოეშვა, აღარც ჩაცმას აქცევდა ყურადღებას, აღარც სახლის სისუფთავს.

მეგობრები ღელავდნენ - რაღაც უნდა ვუშველოთ, კრიზისული პერიოდი უდგას, ეს შეიძლება პირადულიც იყოს და შემოქმედებითიც, შეიძლება ფინანსური პრობლემებითაც იყოს გამოწვეული.

პირველ შემთხვევაში ჩვენ არაფერი შეგვიძლია, მეორე შემთხვევაში ამას თვითონ უნდა დააღწიოს თავი, მესამე შემთხვევაში კი შეგვიძლია, რაღაც გარკვეული თანხა გამოვუწახოთ, მაგრამ ალბათ, არ ესიაოვნებოდა.

ბოლოს იმასლა დასჯერდნენ, სადილებსა და წვეულებებზე დაუწყეს პატიჟი. თავიდან ყველას უარით ისტუმრებდა, საქმეს იმიზეზებდა, სინამდვილეში კი ხელსაც არ ანძრევდა, ივდა თავის ოთახში, გამაჭერებელი იყურებოდა წინ და თითებით პლასტილის სრესდა.

ერთხელაც ისეთ სასონარკვეთილებამდე იყო მიხული, რომ მეგობრებს მიპატიჟებდა უარი ვეღარ უთხრა. ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც მოსწონდა, გადამწყობა, წვეულების დამთავრების შემდეგ სახლში გაეცილებინა და გარკვეული მიზნით იმ ღამეს მასთან დარჩენილიყო. იმის გამო, რომ ის ახალგაზრდა კაცი ქალს თვითონაც მოსწონდა, უარი არ უთხრა:

- კი ბატონო, სიამოვნებით, ოღონდ სირღმე არა მაქვს და ამისთვის მზადყოფნა მოგინევით. ამის შემდეგ კაცმა გადამწყობა, თავი შეეკავებინა და საკუთარი განზრახვის აღსრულება გაურკვეველი დროით გადაედო.

ახალგაზრდა ქალი, რომელიც ოდესღაც ასე მშვენივრად ხატავდა, ახლა დღე და დღე კი არა, ფსკერისკენ წუთინწუთ მიექანებოდა. აღარც თვითონ დადიოდა არავისთან, აღარც ლებულობდა არავის. უმძორობისაგან გასქელდა, ალკოჰოლისა და აბებისაგან უცებ, თვალსა და ხელს შუა მოტყდა და დაბერდა. მისი ბინა ღამის ყარდა, უკვე თვითონაც ზინზლის სუნი უდიოდა.

სამი წელიწადი იმ 30000 ათასი მარკით იცხოვრა, რომელიც თავის დროზე მემკვიდრეობით მიიღო. ერთხელ ნეაპოლშიც იმოგზაურა, თუმცა, არავინ იცნო, რა ვითარებასა ან რა გარემოებაში. თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, პასუხად რაღაც გაუგებარს ჩაიბურღლუნებდა ხოლმე.

ფული რომ გაუთავდა, მთელი თავისი ნახატები გაანადგურა, ტელევიზიის კომპზე ავიდა და 139 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა. მაგრამ, იმის გამო, რომ იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა, კოშკის ძირას მოასფალტებულ მოედანზე კი არ დაეცა, ქარმა შერის მინდვრის იქით ისროლა და ტყის პირას, ნაძვის კენწეროს მიაგდო, - მაშინვე გარდაიცვალა.

ბულვარულმა პრესამ ეს ამბავი სიამოვნებით აიტაცა. თვითმკვლელობა... ფრენის საინტერესო ტრაექტორია... ფაქტი, რომელიც ოდესღაც დიდი იმედების მომცემ, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა მხატვარ ქალს შეეცებოდა... ყოველივე ეს მაღალი საინფორმაციო ღირებულებისა იყო. მისი ბინის მდგომარეობა იმდენად კატასტროფული აღმოჩნდა, ფოტოგრაფებმა იქ მხატვრული ფოტოგრაფიკი კი გადაიღეს: უამრავი დაცლილი ბოთლი, მინგრეულ-მონგრეული ავეჯი, ნაგლეჯებად ქცეული ნახატები, კედლებზე გუნდ-გუნდად მიკრული პლასტილინი და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიბინძურით დასვრილი ოთახის კუთხეებიც კი!

გაზეთის ლიტერატურულმა ჩანართმა დასაწყისში

ნახსენები კრიტიკოსის შერიშნა დაბეჭდა, სადაც იგი გაცოცხლებს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ახალგაზრდა ქალმა ასე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. "ის, რომ ჩვენდაუნებურად მიწმინე ვხდებით, ახალგაზრდა ნიჭერმა ადამიანმა საკუთარ თავში როგორ ვერ მოქებნა იმის ძალა, რათა ადგილი ეპოვა და დაემკვიდრებულიყო თავის წრესა და გარემოში, ისევე და ისევე ჩვენთვის, ცოცხლებისთვის არის თავზარდამცემი... მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერა და პირადი ინიციატივები აშკარად საკმარისი არ არის იქ, სადაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური სფეროს მეურვეობასა და მხატვრული სექტორის გონივრულ ხელშეწყობაზეა საუბარი. თუმცა კი, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტრაგიკული დასასრულის ჩანასახი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მინც ინდივიდში იყო ჩადებული, რამეთუ უკვე მის პირველსავე, ერთი შეხედვით გულბრყვილო ნაშუქვრებიდან ეს შიშის-მომგვრელი გაორება ხომ არ შემოგვცქერის, რომელიც აშკარა და ფერთა შერევის ამ ტექნიკის, ამ საგანებო ეფექტის მოსახდენად არის გამოიზული? ეს შიგნით ჩახვეული, სპირალივით მფოცხავი, ამავე დროს პირთამდე ემოციებით გაჯერებული, მაგრამ აშკარა ანა პროტესტი შემოქმედის საკუთარი, ბნელთ მოცული "მე"-ს წინააღმდეგ? ეს დამბლუპველი და უღმობელი სწრაფვა სიღრმისაკენ?"



Königs Erläuterungen und Materialien

Patrick Süskind

Das Parfum

Bange

საზოგადოებრივი

საეკლესიო სიძველეთა ნაციონალიზაციის იდეა და "საბანძური"

იმ თემებსა და პრობლემებს შორის, რაც ჩვენს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობასა და დედატყვის ინტენსივობას ახდენს, საკუთრივად ადგილი "საკონსტიტუციო შეთანხმების" იდეასა და პროექტს უჭირავს. მისი რატიფიკაციის შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიას იურიდიული ფორმა შეეცვლება, რითაც შესაძლებელია დაირღვეს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ამის თქმის საფუძველს პროექტის ის პუნქტიც გვაძლევს, რომლის თანახმად, საეკლესიო წარსულის ნაშთთა შესაკუთრებლად მართლმადიდებელი ეკლესია, უფრო ზუსტად, საქართველოს საპატრიარქო ცხადდება და რომელიც ბოლო ვარიანტში ("საქრეს.", II.111) ასეა ჩამოყალიბებული: "სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობის სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფ მიწელ საეკლესიო საგანძურს" (შუბლი 20).

"საეკლესიო საგანძურის" ქვეშ, როგორც პროექტის წინა ვარიანტებიდან ჩანს, ნივთიერი კულტურის ის ნაწილი მოიაზრება, რაც ისტორიულად და შინაარსით ეკლესიასთანაა დაკავშირებული. იგულისხმება ლეონისმსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობები, საკულტო ჭურჭელი, წმიდა საგნები და ნერლობითი ძეგლები - ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები, გრავილები და დოკუმენტები. ერთი სიტყვით, - საეკლესიო სიძველენი, რაც ქვეყნის ისტორიისა და ეროვნული კულტურის სიამაყეა და რაც ცივილიზებული სამყაროში სახელმწიფოს საკუთრებადაა გამოცხადებული.

ისტორიული ძეგლების ნაციონალიზაციის იდეა და ამ იდეის რეალიზაცია მეცნიერებისა და კულტურის მოწაპოვარია; იმ ეპოქის პირობაში, რომელსაც რენესანსს ვეძახით. რენესანსის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ძველი ნივთები-საძეგლი ინტერესთა ველის გაფართოება გახლავთ, რამაც მათი მოძიების, აღწერების, დაცვისა და შესწავლის პროცესისათვის ნიადაგი მოამზადა. გადაადგა შესაბამისი ნაბიჯები და საფუძველი ჩაეყარა ახალ სამეცნიერო დისციპლინებს - არქეოლოგიას, არქეოლოგის, კოლოკოლოგიას და სხვა. პირველი მუხუმუხები, როგორც სიძველესაცდენები, სწორედ XV-XVI სს-ში შეიქმნა ფლორენციაში, რომსა და დრეზდენში. ამიერიდან ძველი საგნები არა უტილიზირდნენ, ე.ი. პრაქტიკული ინტერესების შესაბამისად აღიქმებოდა, არამედ - მემორიალურიად, ესთეტიკურად და მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტებად. ისტორიული საგანი, მათ შორის საეკლესიო-საკულტო, მაშინ ხდება სამუხურუმი ექსპონატი, როდესაც დანიშნულებას კარგავს, ანდა იქნის დამატებითი განზომილებას, სამეცნიერო-კულტურულ მნიშვნელობას.

თვალსაზრისითისათვის ძველ ლიტურგიკულ კრებულებს გაიხსენებთ. ფართო საზოგადოებისათვის, ვფიქრობ, ყველაზე ცნობილი ადამის სახარებაა. დანიშნულებით იგი სატრაპეზოა და მოიცავს სახარების ქართული თარგმანის ერთ-ერთ უძველეს ვერსიას, ან სომხურიდან თარგმნილს, ან სომხურიდან შედგენილებს. ეს წიგნი მანამ ასრულებდა საეკლესიო-სატრაპეზო წიგნის ფუნქციას, სანამ საზოგადო მსახურების ფაშს იკითხებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ ორიენტაცია შეიცვალა და გეზი ბიზანტიისკენ აიღო, მოხდა ძველი თარგმანების რევიზია, რის გამოც ე.ი. აღმზრდი რედაქციის ტექსტები ლიტურგიკული პრაქტიკიდან გამოვიდა და მისი ადგილი მონაწირდელთა რედაქციის ტექსტებმა დაიკავა. ადამის ოთხთავმა პრაქტიკული ლიტურგიკული დაკარგა და შეიძინა არქეოლოგიური. იგი აღარაა საეკლესიო წიგნი ამ სიტყვის რეგულირება და პრადპარტი მნიშვნელობით. იგივე ითქმის სხვა საეკლესიო წიგნებზეც - იერუსალიმის განწინებზე ანუ ლექციონარზე, მრავალთვზე, იდგარასა თუ პირველნაბეჭდ ლიტურგიკულ წიგნებზე. ვახტანგის სტამბის სახარებაში ლიტურგიკული დანიშნულება მაშინ დაკარგა, როდესაც ანტონ კა-

თალიკოსმა ზემირი და წერიტი მეტყველების საკუთარი სისტემა შემუშავა და ლიტურგიკული წიგნების ამ სისტემის კვალობაზე გამართვა იწევა, რაც სისრულეში მოიყვანა. 1786 წლის სახარებამ ტრაპეზზე 1709 წლის სახარების ადგილი სწრაფად დაიკავა და პირველნაბეჭდი წიგნი ანტიკვარად აქცია.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ყველა ქვეყნის ისტორიაში აქვს. აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში V-VI სს-იდან იერუსალიმური ტიპიკონი კონსტანტინოპოლურით შეიცვალა, შობისა და ადღმარების აღმოსავლურ-კალენდარული პრაქტიკა - დასავლურით, რომაულით (რაც იოანე ოქროპირის დამსახურებად ითვლება). ძველ ლიტურგიკულ კრებულებს მეტოქეობა ახალმა რედაქციებმა გაუწიეს: ლექციონარის ადგილი სანონსანარმეტყველომ და სამოციქულომ დაიკავა, იადგარასა - თევზმა და სადღესასწაულომ, მრავალთავისა - სხვადასხვა პოლიტიკურმა, პატივითა და სხვადასხვა სახის საკულტურმა და ა.შ. სტამბამ კი ხელნაწერი წიგნები მალე ურეუქმოდ დატოვა და არა მარტო წიგნები: სტამბამ, როდესაც სატყვისა და ობიექტის ბეჭდვა დაიწყო, ლამის მოშალა ხატწერის ძველი ტრადიციები და ნორმები.

გავითვალისწინოთ, რომ ასეთ გარემოში ძველი საეკლესიო ნივთები, განსაკუთრებით წიგნები, დაკარგვა-განადგურებისაგან ორმა სხვადასხვა ფაქტორმა იხსნა: 1) გაფიქრებამ ანუ მათმა გასულიერებამ და 2) განაღობების დონე ანუ მეცნიერულ-კულტუროლოგიურმა ცნობიერებამ და ინტერესებმა. პირველი ფაქტორი განათლებულ მღვდელმსახურთა მიერ აღქმულია რიგორიზმად და მეცნიერების შვაგას მოვლენად. ამ მოვლენის დამახასიათებელ ნიშნებს ვამჩნევთ სიგნებში დაველ სიძველეთთან ადგილობრივი მონასტელების დამოკიდებულებას. ადამისა და კორინდეთის ოთხთავებს, შალიანის ხატსა თუ სხვებს მლოცველები გადამეტებულად და უზომოდ ელვარებიდნენ; ბანდნენ კიდევ, რაც ძველ ნივთებს უფრო ახვედრდა და აზიანებდა. ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გაბრეღ ეპისკოპოსმა კორინდეთის სახელგანთქული ოთხთავი კალამი არ დააბრუნა. მართალია, აღნიშნული ფაქტორი სიძველეთა უსადრთობებს ვერ უზრუნველყოფდა, მაგრამ გაუწინარება-გაეპატივებისაგან იცავდა. რაც შეეხება მეორე ფაქტორს, მეცნიერულ-კულტუროლოგიურ მიდგომას, იგი თავად ეკლესიის მიერაა ნაწერობი და გაცვალილი. საეკლესიო სიძველეთა მნიშვნელობის გატვირთვება სწორედ ამ გზის მეშვეობით მოხდა.

ძველეთა, რომლებიც დამკვლევებისა თუ სხვა მიზეზების გამო, რასაც უკვე შევეხეთ, ხანრიდინან გამოვიდნენ და პირველად ფუნქცია დაკარგეს, საყოველთაო, კომერციული, - საყოველთაო ყურადღების ობიექტში მოექცნენ როგორც ხელოვნების ნიმუშები და არქეოლოგიურ-არქეოგრაფიული, ისტორიული-ფილოლოგიური, ტექსტოლოგიურ-კოდეციოლოგიური კვლების ობიექტები. განაღდა საეკლესიო სიძველეთა ყოველმხრივი, ე.ი. კომპლექსურიად, ამომწურავად - საღვთისმეტყველო, არქეოგრაფიული თუ ხელოვნებათმცოდნეობის უკონთი შესწავლის მოთხოვნილება.

ასე რომ, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ძველი საეკლესიო საგნები განაღდა იქნენ.

განძის იდენტიფიკაცია, რაც მოქცეულია საყოველთაო ყურადღების ცენტრში. იგი აინტერესებს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და კონფესიისა. ბუდის ქანდაკებები, რომელთაც თაღბებით დღეს მუსრს აქვთ დედა, კულტურალოგიური ასპექტით მეცნიერებისკენ აქცია.

ამგვარი ხედვა ანუ, უფრო რომ დავაკონკრეტოთ,

ისტორიულ ძეგლთა, მათ შორის საეკლესიო სიძველთა, ფასეულობის საყოველთაოა არის მათი ნაციონალიზაციის, გასახელმწიფოებრიობის, ე.ი. საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადების საფუძველი.

საეკლესიო სიძველეთა ნაციონალიზაცია და მუხუფემუში დაბინავების იდეა ფართო მასშტაბი XIX სს შუა წლებში შეიძინა. ევროპასა და რუსეთში სიძველეთაცხვების ქსელი გაფართოვდა და შეიქმნა არქეოგრაფიული კომისიები.

საქართველო არ დარჩენილა საერთაშორისო პროცესების მიღმა. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ აქვს ვრცელი ასპარეზი შორეა და ამაქვემო ვრცელ და ბერძენ ჩაბა. ამას ცხადყოფს საქართველო-იმერეთის უნიმდისი სინოდის 1876 წლის 30 ივნისის დადგენილება N2586 ეკლესიებიდან და მონასტრებიდან წიგნებისა და ყოველივე ისტორიული სასოფარის გამოტანის შესახებ (გაზ.დროება, 1879, N199). წინამძღოებებს მიუთითებს, აღწერონ თავი ყველა ხელნაწერი, ძეგლნაბჭქმდი წიგნი და ნივთი, რასაც პრაქტიკული დანიშნულება აღარ ჰქონდა, მაგრამ ისტორიისათვის ფასეულობას წარმოადგენდა, ჩამოტანათ თბილისში და ჩაებარებინათ ისინი სემინარიაში. პროცესი დაიწყო. იგი წელი ტემპით, ეჭყეებით, უნდობლობით, მაგრამ მანც ნინ მიწინავედა, რაც ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის დევნადაც განაპირობა. მათ თანამსაგრეთსაგან წმქებისკოპის აღქსნადრებს (ოქროპირიძეს) და დეკანოზ ბუქარიონ ნიუარაქეს დავასახლებებს. ასე ჩაეყარა საფუძველი ხელნაწერთა ფონდების გაერთიანების პროცესს, რაც ჩვენს ქვეყანაში სიძველეთა ნაციონალიზაციის პირველი ნაბიჯს წარმოადგენდა. მისი აღმაშლებია არა მარტო საერთო მოვლენათა - დიმიტრი ბაქაძის, ექვთიმო თყაიშვილის, თედო ფორადინას, მოსე ჯანაშვილისა და სხვთა დამსახურება, არამედ (და შეიძლება აღმაქმულადაც) ღირსი სასულიერო პირების მოქალაქეობრივი და კულტურული ცნობიერებისაც. მათი რიცხვი დიდია. მარტო კათალიკოსპატრიარქების კვირიონის, ლეონიდის, ნსამბროვისა და კალისტრატის დასახლებუბაც იკმარებს. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. თვალსაჩინოა კათალიკოსპატრიარქ ილია მეორის დავანთ ქართულ ხელნაწერთა ფონდის გამდიდრების საქმეში. აგრეთვე დეკანოზების: ზაქარია ძინბიძისის, გიორგი ზეიდაძის და მედავითენ თამაზ კოქლაძისაშეიღისა.

მაკვირვებ და თამამად უნდა ითქვას, რომ საეკლესიო-არქეოლოგიურ ფასეულობათა, ეკრძობ, ხელნაწერთა ნაციონალიზაციის იდეა არც საქართველოში და არც სხვაგან ეკლესიისათვის თავზე არავის მოუხვევია. იგი მის წინაშე აღმოქმნდა მეცნიერულ-ეკლესიოლოგიური ინტერესების დახვეწის კვალდაკვალ.

სწავლულები და, ცხადია, ეკლესიის განათლებული მხახურები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: 1) წიგნი თუ სხვა ნივთი, რაც დაძველდა, საცავებში პირობებში დაცვას საჭიროებს; 2) მეცნიერული მიმოქცევისათვის სასურველია მათი გაერთიანება გლობალურ ფონდებში და 3) მოთავარი და ყველაზე არსებითი - რასაც სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღირებულება აქვს, არაა მიზანშეწონილი, დარჩეს ეკლესიის ანუ გარკვეული აღმსარებლობის მიმდევართა საზოგადოების საკუთრებად.

რაც ისტორიულად ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს, ანუ შექმნილია ეკლესიაში, სამეფო კარზე, ფეოდალის ციხე-დარბაზსა თუ გლეხის ქოხში მხოლოდ ეკლესიის, მხოლოდ სამეფო დინასტიის, მხოლოდ საგვარეულოს საკუთრება რღვდა. თითოეული ისტორიული ძეგლი ეროვნული განძია და ეროვნული განძის განკარგება ანუ მოვლაპატრონობა უმაღლესი ეროვნული ინსტანციის - სახელმწიფოს პრივილეგიაა. რადგან სახელმწიფო, თანამედროვე პრინციპით, აღმსარებლობათა მიმართ ნეიტრალურია. კანონის წინაშე იგი ყველას თანაბრებს, მოქალაქეებს რე-

ლიგიური ნიშნით არ ახარისხებს და იგულისხმება, რომ საზოგადო ქონებაში თითოეულ მოქალაქეს თავისი წილი აქვს. ამის გამო სიძველეთა მფლობელი ყველგან სახელმწიფოა, რაც განასაზღვრავს დაკუმენტის იმ მუხობიდანაც ჩანს, რომლის თანახმად, საზღვარგარეთ განფენილი ქართული ტძარების, ხატების თუ ხელნაწერების დაქართველების საპატრიარქოს საკუთრებად ცნობისა საქართველების შესახებ მოლაპარაკება საქართველოს მთავართა (და არა საპატრიარქო) უნდა ანარჩოს იმ ქვეყანათა მთავრობებთან (და არა საპატრიარქოებთან), სადაც თითოეული მათგანი მედვარეობს. სხვაინათვე შეუძლებელია, ვინაიდან ისტორიული განძის რეალური და იურიდიული მფლობელი, კუქვათ, ისრაელში, რუსეთში თუ საფრანგეთში არის სახელმწიფო. ნაგებობებსა თუ ნივთებს, რომელთაც საკულტო-საღვთისმსახურო დანიშნულება აქვთ და მათი კონსერვაცია აუცილებელი არაა, იგი ეკლესიის უფრეებს მუდმივი სარგებლობისათვის. ასეთია სახელმწიფო-

თა მონაწილის თანამედროვე პრინციპი, რის თანახმადაც გარდასულ ეპოქებში და თამბებში შექმნილი ფასეულობანი ვჯრ ერის, შემდეგ კი კაცობრიობის საკუთრებაა. შესანახად და საპატრონოდ ისინი სახელმწიფოებს აბარათ და პასუხისმგებლობაც მათ

განძი ის ფუნომენია, რაც მოქცეულია საყოველთაო ყურადღების ცენტრში. იგი აინტერესებს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და კონფესიისა. ბუდას ქანდაკებები, რომელთაც თალიბები დღეს მუსრს ავლებენ, კულტუროლოგიური ასპექტით ჩვეთვრულა ძვირფასია.

კიხერბა. ერის ტუქ აქ სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა იგულისხმება კინიური წარმომავლობისა და რელიგიისაშიმი კუთვნილების განუსხვავებლად. რაც ჩვენს წინაშე რებს, თინიურად ქართველებსა თუ არაქართველებს, შეუქმნიათ - ადიშის თითხივი, ლალაშის გერაული ბიბლია, კორდიანის ბერძნული სახარება თუ ყრბაღის ყურანი, რაც ჩვენს სიძველეთსაცავებს მოუპოვებია, შეუნახავს და კულტურულ-სამეცნიერო წრეებისათვის გაუცვნიათ, საქართველოს თითოეული მოქალაქის საკუთრება - მართლმადიდებლისაც, იუდეველისაც, მუსლიმანისაც და ათეისტისაც. ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები, რითაც ვამაობთ და ჭქმნარებად ვამაობთ, თუკი მართლმადიდებელი ეკლესიის ანუ მართლმადიდებელი მოსახლეობის საკუთრებად გამოცხადდება, საკონსტიტუციო რანგის შეთანხმებით დასტურებული მიეცება და ბეჭდვით დატესება, ქვეყნის დანარჩენი (არამართლმადიდებელი) მოსახლეობა ამ მუქეიდრების მიღმა დარჩება. ეს კი ჩვენი მრავალეროვნანი და მრავალმეცნიერო მოსახლეობის ურთიერთგაუცხოებას შეუწყობს ხელს და ჩაქვითი ხიღს, რომლის გამართლებას უნდა შევსტროდეთ, კიდევ უფრო ჩაქვთს. "საკონსტიტუციო შეთანხმება" თავად აღიარებს, რომ "საეკლესიო საგანძური" "ეროვნული საგანძურის" შემადგენელი ნაწილია ანუ ეროვნული საგანძურია. თუკი ასეა (და ჭქმნარებად ასეა), დაქვთა კითხვა: ეროვნული საგანძური ის ერის (ქვეყნის მოსახლეობის) ერთი ნაწილისათვის (მართლმადიდებლებისათვის) მისაკუთრებას და მორე წაწილის და საკუთრების მიღმა დატოვების იდეა ურდიოულია და ნეიტრირივი თვალსაზრისით გამართლებული იდეა? შეუშლის თუ არა იგი ხელს ერის კონსოლიდაციას. ვეჭვობთ, ეს იდეა სახელმწიფოსათვის მავნე იდეაა.

გვგვართებს ისტორიული, ანუ გარდასულ დღეთა სიღრმეებიდან, ჩვენი საერთო წარსულიდან, გამოღწეული და ნუთიონულის უღმობილო ცელს გადარჩენილი ძეგლები იურიდიული სტატუსის გათავლისწინება. ლაპარაკია "განძისა" და საგანძურზე". ამგვარად მოაზრებულ და დეფინირებულ ცნებებთან მიმართებაში მესაკუთრის საკითხი არ დაისმის. განძი, თუკი მართლაც განძია და მით უმე-

ზანა შანაშავილი

ბამარჯვანი დღის კუთხავი

მეგონა, 50 ლარს შემეცმდნენ,
მაგრამ მივიღე აი, ეს!
ნაზი ბაზრავალი საბაანინი.

ტეს - ეროვნული, ეკუთვნის ყველას და არავის პერსონალურად. იგი ისტორიის მემკვიდრეობაა და ეს მემკვიდრეობა ეკუთვნის დიდკაცსაც და პატარაკაცსაც, ერსაც და ბერსაც, მართალსაც და ცოდვილსაც, მეზვერსაც და ფარისევლებსაც. განძის მესაკუთრეა სახელმწიფო და, სახელმწიფოს მეშვეობით, კაცობრიობა. ამ პრინციპთან წინააღმდეგობაშია გამოთქმა "საეკლესიო საგანძურის", რასაც ესვდებიან როგორც "შეთანხმების" პროექტის ყველა ვარიანტში, ისე მარიამ ცაცანაშვილის ახლადგამოქვეყნებულ წიგნში "სახელმწიფო და რელიგია", რომელიც შეიცავს ვრცელ ინფორმაციას ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმათა შესახებ მსოფლიოს მასშტაბით. განსხვავებული პოზიციაა ჩამოყალიბებული ზაალ დგებუაძის სტატიის "მორწმუნისა და ეკლესიის შეხედულება" ("არელი", 2001, N5). ფორმულირებით "საეკლესიო საგანძური", ამბობს ავტორი, "საპატრიარქო თვისად უნებურად აიღიარებს საგანძურის ცნებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის საეკლესიო სინფიდეოთა ტრადიციულ გაგებასთან. მაგრამ ეს გააღრმავებულია და იგი ახალი დროის ვითარების ამსახველია. აქ ჩანს, რომ საპატრიარქო იმავე კრიტიკიზმით აზროვნებს, რითაც სახელმწიფო. მისთვისაც ეს "საგანძურია". საგანძურის ცნება კი გულისხმობს ხელშეუხებლობას, კრძალვას მასში შემაჯავლი ნივთის გამოყენებას პირველადი დანიშნულებით... "საეკლესიო საგანძური" განუყოფელი ნაწილია ეროვნული საგანძურისა, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს ევდიდით მთელ ხალხს. ის საერთო სახალხო მემკვიდრეობაა... მის მიღწიას კორპუსში უნდა ვხილოთ როგორც "ვეფხისტყაოსანი", ისე უძველესი იადგანი, როგორც "ქართლის ცხოვრება", ისე შატბერდის კრებული და მრავალთავები..."

ვეთანხმებით ამ შეჯღობისა და დაცემით, რომ სამეზვეურო ფასეულობათა ეკლესიის საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნა წინააღმდეგობაშია ჩვენი წინაპრების, XIX-XX სს-ის ჩინებული სასულიერო და საერო პირების ნებსბთან, მათ მოქალაქეობრივ, ეროვნულ და კულტურულ პოზიციასთან.

მათ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე ცივილიზებული და დემოკრატიული ორიენტაცია აირჩიეს. გვეჯერა, რომ თანამედროვე სამედველობათა შორის საქმარისად მოიძებნებიან განათლებული და საღადმოაზროვნე პირები, რომლებიც გეზის შუა საუკუნეებისაკენ შემობრუნებას არ დაუშვებენ.

და თუ მაინც დაისმის კითხვა, სულიერი მემკვიდრეობის საზღვრისა და პრინციპით ვის ეკუთვნის, მაგალითად, მიქაელ მოდერჯეილის იადგარი, გელათის ოთხთავი, ქართლის მოქცევის ქელიშური ხელნაწერი, შატბერდის კრებული თუ სხვანი და სხვანი, ერთი სიტყვით, - წერილობითი ძეგლები, რომლებშიც მართლმადიდებლობა რწმენა და მეცნიერებაა დაუფრეული, ეუპასუხებთ: პირველ რიგში მართლმადიდებლებს. პაველ მოციქულის სიტყვები რომ გაგითვალისწინებთ (რომ.3,2-3), დიდია მათი უპირატესობა ყველანაირად, რადგან ღვთის სიტყვის ქადაგება ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე მართლმადიდებლობა რწმენისმიერ წინაპრებს ჰქონდათ მიწოდებული. მათ მიერვე შექმნილი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი, მაგრამ ყური დაუფრეოთ იმავე მოციქულს: "ჭურისა პირველად და მერმე წარმართსა" (რომ.2,9-10). თუკი ამ ნათქვამის აზრს გაავფრთხილებთ და სამოქალაქო ყოფაზედაც გადავიხანთ, წინააართა კულტურული მემკვიდრეობის მფლობელნი არა მხოლოდ მართლმადიდებლები არიან, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ე.ი. ქართველი ერი, განურჩევლად ეთნიკური თუ კონფესიური კუთვნილებისა.

სტეპანიჩი ის ვეტერანი, რომელმაც თავის სდროზე ფორსირებული მარშით გადალახა დაბადებიდან 80 წლისთავი და სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა გამარჯვებულითა ვიწრო ვარსკვლავთა მდგომარეობაში სიღარიბისგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამის გამო იგი მოკავშირე ყავარჯენთან ერთად უშლ ჩაება პარტიზანულ ომში და ბოლო ათი წელია შეუპოვრად ცდილობს სიღარიბის ალყის გარღვევას.

წლევანდელი 9 მაისი მისთვის წამდვილად გამორჩეული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გავრცელებული ინფორმაციით, თითოეულ ვეტერანს გამარჯვების დღის აღსანიშნავად 50-50 ლარი უნდა მიეღო; მაგრამ სტეპანიჩი ვაკის პარკიდან ხელცარიელი დაბრუნდა და მეზობლებს ორ თითს შორის მოუფრეული ცერა დააანახა, აი, ეს მომცესო.

სტეპანიჩი არ ტყუოდა, მაგრამ არც მის მიერ მოხელთებული ინფორმაცია იყო მთლად მცდარი. უბრალოდ, იგი გაუშიფრავი გამოდგა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვეტერანთა გარკვეული ნაწილი მართლაც დაასაჩუქრეს. მაგალითად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საექსპ. დარბაზში 89 ვეტერანმა მიიღო 50 ლარი და ნაგენი - "ვერმახტის საიდუმლო საქმე" (ვიდალ-ვილავანი ადგილობრივ მმართველ ორგანოში დააჯილდოვეს 25 ლარით და თითო ბოთლი შამპანურით). ცოცხლად დარჩენილი 35 ათასი ვეტერანისთვის კი ზღვაში წვეთია, მაგრამ ჯერ არ დაამდგარა ის დრო, როცა ქვეყანა ყველას მოიკითხავს.

"700 ათასი მეომრიდან სახლში 300 ათასი დაბრუნდა. მათგან ცოცხალი დავრჩით 35 ათასი. ყოველ წელს 6-7 ათასი იღუპება. 5-6 წელიწადში არცერთი აღარ ვიქნებით. ამიტომ ჩვენ ხელისგულზე უნდა გვატარებდნენ", - თქვა ერთმა ვეტერანმა ზღვ სამინისტროში მას შემდეგ, რაც დარბაზსა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო წინა დღით დაღუპულ სამტოთა კავშირს





გმირის, პროფესორ ირაკლი ციციშვილის ხსოვნას.

ეს სიტყვები ზრდილობისთვის იყო ნათქვამი, თორემ ვინ არ იცის, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ჩვენს დემოკრატიულ და განვითარებად ქვეყანაში ხელისგულზე ტარების პრინციპი მთლიანად გახდა დამოკიდებული პირადი ქიხის სიმძიმეზე. ამ მზრუნველ დროში კი ეს ტვირთი ვეტერანებს მაქსიმალურად შემსუბუქებული აქვთ თვეში სულ რაღაც 45 ლარი. ეს რიცხვი იმითაც საამაყოა, რომ რიგით პენსიაზე სამჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ მეტია და ფერეიტორ ევგენია ჯიოევას აზრით, თითოეული ომგადახდილი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა აავსოს.

ამ გრძნობით შექმნა იგი 9 მაისს ვაკის პარკის კიბეზე ჩამომჯდარ ფერეიტორ გიორგი მოდრეკილაძეს, რომელსაც თავზე ჯარისკაცის ყურებიანი ქუდი ესურა, მარჯვენა ხელში შინდის ჯოხი ეჭირა, მარცხენა პეშვში ხურდა ეყვრა, ხოლო პიჯაკიან გულზე მელღეზე ეკიდა და მთელი სერიოზულობით მათხოვრობდა.

“სევაზისტკა” ჯიოევა, იმის მიუხედავად, რომ ფრონტზე 1942 წელს გაიპარა, ვარშავამდე ბრძოლებით მივიდა და ომი 1945 წელს პოლონეთის ქალაქ პოზნანში დაამთავრა, სადაც თვით გიმლერის ოთახიც კი დათავალერა და ამით თავისი მრავლისმანხველი საშხედრო ბიოგრაფია კიდევ უფრო გაამდიდრა, მოულოდნელობისგან შეცდა და უხერხულად შეინიშნა:

- “ვაზორ, ვაზორ”, როგორ არ გრცხვენია, 45 ლარი გაქვს და მეტი რა გინდა?!

- რა “ვაზორ!” “ვაზორ” იმას, ვინც ამ დღეში დამაგდო. 45 ლარი... დათვალე, შე კი უნდა... ძალღელეს ჭამა არ უნდა? კატას ჭამა არ უნდა?

- ე, ეს ძალღელეს და კატებს აჭმევს!

- მა, პირუტყვის ჭამა არ უნდა? შენ როგორ ლაპარაკობ?!

ევგენია ჯიოევასთვის ეს ცხოველი არგუმენტები დამაჯერებლად სულაც არ ელერდა, მაგრამ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და იგი “ძალღელი-კატების” პუტუნით გასცილდა იქაურობას.

- რომელ ცხოველებზე ლაპარაკობდი გიორგი პაპა! - ჩვენი დროც დადგა.

- გერმანული “აფარკა” მყავს, შვილო, კატები მყავს, შიმშილით ხომ არ დავხოცავ? 45 ლარს მე ვიშოვებ, მაგრამ - იმათ?!

- აბა, რა! ომში როდის წახვედი?

- 39-ში გამიწვიეს, 40-ში “პრისიაგა” მივიღე მერე ომიც დანიწყო და დამტოვეს. 47 წლამდე ჯარში ვიყავი. ბოლოს 2 წელი სავალდებულოც დამიმატეს.

- სად იბრძოდი?

- სად აღარ ვიყავი: ყირიმში, აზერბაიჯანში, ირანში, კავკაზიაში ვბრძოლებდი.

- ირანში რა გინდოდათ?

- ირანში მტერი შემოვიდა, კაცო, აღარ გადიოდა. შევედით და გავრეკეთ. რაც ჩვენ იქიდან ბრინჯი წამოვიღეთ.

- რომელ ნაწილში იყავი?


- პეხოტაში ვიყავი “მინა-მიოტჩიკი”. “როტნი მინამიოტი” მეკიდა, 16 კილოიანი მარტო ლაფეტი ჰქონდა. ერთხელ “ვანიუშა” მესროლეს და მთელი შინელი დამიფლითა. შვიდი “ასკოლა” მომხვალა. ერთი 5 მილიმეტრიანი და ერთი 3 მილიმეტრიანი ასულაც მიდევს წელში. კისლავოდსკი ვინეკი. ერთი ენარელი ექიმი მივლიდა, თან მყვებოდა. ერთხელ მკითხა, ფაშისტები შემოდიან და თბილისში ეშელონით წახვალა? აბა, თბილისში არ წავიდოდი? “ნასილკით” წამიღეს. ჩვენი მატარებელი ბაქოში დაიცალა და იქაურ ჰოსპიტალში დამაწვივნეს. ომის მერე ბევრი ვეძებე ის ჰოსპიტალი, პენსიისთვის საბუთი მჭირდებოდა, მაგრამ რად გინდა, ხირურგ ექიმმა მითხრა, მე რა ვიცი, იწება ჯიბეგრემმა დაგჭრესო. თურმე 200 მანეთი უნდოდა.

- მაშინაც, კაცო?

- მაშინ იყო თუ იყო. ერთ მკითხავთან მივედი, მითხრა, რასა წვალობ, მიეცი 200 მანეთიო. იმან რაღა იცოდა?

მერე ვნერე და ვნერე მოსკოვში, ვნერე და ვნერე და ბოლოს და ბოლოს, მამცეს II ვგაუფის ინვალიდობა, მაგრამ ახლა რაღად გინდა!





<http://www.opentext.org.ge/arili>

საქს HERE





53
6/17

Patrick Süskind

Patrick Süskind



Das Parfum